




საბჭოთა საქართველო— სამოცდართნი



ISSN 0180—1624

დროშა

თეგერვალნი

№ 2 1985 წ.



23 თეგერვალ სავჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო
ფლოტის დღეა



კვლევ ბაზრზე!

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე არიან შეტანილი შემდეგი კოლექტივები:

1. საპარტველოს სსრ
2. შ. ჟოთი
3. გომადანოვკის რაიონი
4. გორის რაიონი
5. მახარაძის რაიონი

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე არიან შეტანილი შემდეგი კოლექტივები:

6. საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პოტენციალის“ ქუთაისის ელექტროტექნიკური ქარხნისა.
7. თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების.
8. ქუთაისის პურსაცხობი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებისა.
9. საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულისა“, ქ. მარნეული.
10. № 10 „საქსოფლმშენობნათა“ ტრესტისა, ქ. სამტრედია.
11. საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ორჯონიკიძის სახელობის შახტისა, ქ. ტყუბული.
12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ზესტაფონის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისა.
13. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოსი.
14. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ცაგერის საგზაო-სარემონტო-სამშენებლო-საექსპლუატაციო სამმართველოსი.
15. სოფელ ვაზისუბნის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობისა, გურჯაანის რაიონი.
16. „თამარისის“ მეფრინველეობის ფაბრიკისა, პოლნისის რაიონი.
17. ზუგდიდის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანებისა.

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ კოლექტივები:

18. საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმიკრევისა“, ქ. თბილისი.
19. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საკვანძო სადგურის ენერგომომარაგების უბნისა.
20. კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტისა, ქ. თბილისი.
21. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციისა, ქ. თბილისი.
22. ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატისა.
23. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა.
24. გორის მეღვინეობისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოსი.
25. ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებისა.
26. „კავკასიულექტროქსელმშენის“ „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი სახელმწიფო საკავშირო ტრესტისა, ქ. თბილისი.
27. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტისა, ქ. თბილისი.

28. საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ტრიკოტაჟის სპორტული ნაწარმის ფაბრიკისა, ქ. თბილისი.

29. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გორის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებისა.

30. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წყალმომარაგების მომსახურების საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოსი.

31. გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობისა, გარდაბნის რაიონი.

32. სოფელ დილისკის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობისა, ახალქალაქის რაიონი.

33. სოფელ შამგონის ს. შ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობისა, ზუგდიდის რაიონი.

34. სოფელ ჭიკანის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობისა, ყვარლის რაიონი.

35. გიორგიშენიძის მელორეობის კომპლექსისა, საგარეჯოს რაიონი.

36. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა „წალენჯიხისა“, წალენჯიხის რაიონი.

37. საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისა, მახარაძის რაიონი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა:

38. აფხაზეთის ასსრ

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე არის შეტანილი კოლექტივი

39. სოფელ ოქუშის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა, გალის რაიონი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა

40. შ. ბათუმი

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდნენ კოლექტივები:

41. ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატისა.

42. სოფელ ქვედა აჭყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრისა“, ქობულეთის რაიონი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა კოლექტივი.

43. სოფელ ბალანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობისა, ლენინგორის რაიონი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№2 (578) თებერვალი, 1985

მუდრნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საპარტველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

ნომერშია:

მ. ქავთარაძე აი. ასეთი მზამს კომუნისტი! (ნარკვევი).

3. გვეტაძე სიჭუბეა ბრინანსკის ტყეში (დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის).

თ. ხმალამ სადღეგრძელო (მოთხრობა).

ა. ლლონტი — მამოგრების ნერგი ძლიერი.

ბ. კონჯარია — ოლქისა ნოვოცკი.

ტ. გინგილაკაშვილი — შეხვედრა ლაიფციგის პროცესის გმირთან.

ე. პაპე ირთი მრავალთავანი (მოთხრობა).

ბ. ქორქია — ძნელი საფეხბურთო სეზონი.

რ. ზაქარაია, ლ. დოლიძე — უღრუბლო ცის ჯარისკაცი (ნარკვევი).

დ. სიმანოვიჩის, ა. ნადირაძის, ხ. ბერულავას, ვ. ხარჩილავას, ს. ახვლედიანის, ვ. შკოლას ლექსები.

იუმორი, კროსკორდი.

მთავარი რედაქტორი


ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგოზიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურშიშიძე, ვახტანგ ეხვანავა, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღა, ნუზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საპარტველოს
პროლეტარების
გამომცემლობა

დროშა 1



7 თებერვალს გაიმართა ზუგდიდის რაიონის № 336 რუხის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან **ედუარდ ამბროსის ქე შევარდნაძესთან.**

წინასაარჩევნო კრებაზე გამოვიდა ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ ამომრჩეველები.

ტრიბუნაზეა ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

სოფელ განძაში ყოველწლიურად პოეზიის ლამაზი დღესასწაული იმართება. იმ დღეს ისეთივე უნაზესი, უფაქიზესი და ამალღებულისა ყველაფერი, როგორც იმ დიდი სომეხი პოეტის სული, რომელიც დაიბადა ამ მიწაზე, მერე ცხოვრებაში, სწავლის დაუოკებელმა წყურვილმა რუსეთის უდიდესი ქალაქების გზებზე ატარა და უკვე ჯანგატიხილი და უბრუნა მშობლიურ მხარეს...

ვაჰან ტერიანი — სევდიანი, მარტოსული რაინდი, რომელსაც ერთი წუთითაც არ ტოვებს ნათელი ოცნება ადამიანთა ბედნიერებისა, უკეთესი მომავლისა და, როცა დადგება სანატრელი ჟამი, მისი სიცოცხლის დღეები და კვირები უკვე დათვლილია... მაინც ასწრებს, თანამედროვეობის თემებითა და მოტივებითაც ამდიდრებს თავის პოეზიას და პრაქტიკულად იღვწის ახალი ყოფის დამკვიდრებისთვის.

რა არის ოცდათხუთმეტი წელი შემოქმედისთვის, რომელსაც ასე ბევრი ჰქონდა სათქმელი...

ვაჰან ტერიანის სახელი იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს. აქ დაიბადა, აქვე გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული, რომლითაც იგი უმაღლეს დონეზე

ცნობილი პოეტების გვერდით. მაშინვე აღიარეს ახალი სომხური პოეზიის მესაფუძველედ. ვაჰან ტერიანმა ერთ-ერთმა პირველმა სცადა „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად თარგმნა. ამიტომაც განსაკუთრებით ახლობელი და საყვარელია პოეტის სახელი ყველა ქართველისათვის.

მორის ფოცხიშვილმა პირველმა ითავა დიდი და კეთილი საქმე — თარგმნა და ერთ კრებულში მოუყარა თავი ვაჰან ტერიანის ლექსებს. პატარა წიგნი „გული — ყვავილი“ გამოცემილია „ნაკადულმა“ გამოსცა. სული და გული ჩაუქსოვია მთარგმნელს მასში, რათა ქართველი მკითხველისათვის ეგრძნობინებინა ვაჰან ტერიანის ლექსის დახვეწილი ფორმა, მუსიკალობა, რითმითა მრავალფეროვნება.

სულმოუთქმელად ჩაიკითხავთ კრებულს და ველარასოდეს დაივიწყებთ შთამბეჭდავ სტრიქონებს, სადაც გულწრფელად გესაუბრებათ ვაჰან ტერიანი — უზადო მიჯნური, უსაზღვრო პატრიოტი, მოყვასის სიხარულისთვის შემართული და მაინც ჩუმი სევდით სავსე შემოქმედი, რომლის მთელი პოეზია თვით სომეხი ხალხის ისტორიაა, მისი წარსული და მომავალი...

„გული-ყვავილი“



მე რა მაქვს?
ახლა რას მოასწავებს
ჩემი სიცოცხლე ახლა?
გული, რომელსაც დედა-სამშობლოს
სევდა კვლავ ასე ლახვრავს.

თითქოს უბრალოდ ამბობს
პოეტი და რა გადამდებია მისი
განცდა.

ვაჰან ტერიანის სულიერი
კრედი შესანიშნავად ჩანს ამ
პატარა ლექსში:

პოეტზე ღარიბი
სპარსეთის შაჰია, —
შაჰის სასახლეში
ნეტავი რა ჰყრიან?
ვოცნებობ, რაც მინდა,
მეჩენება მარადის,
პოეტზე მდიდარი
არავინ არ არის.


თუ არა დიდი შინაგახი გახ
ცდისა და საოცარი რაინდული
გულის მქონე ვაჟაკს, ვის
შეუძლო ასე ლამაზად ეთქვა
სატრფოსათვის:

დიდება თქვენდა, ოდით
ანგელოსივით თრთოლით
და სიარულზე გცნობდით.
მზე-ცის სიმაღლეს

ფლობდით,
მე კი უბრის და ცოდვის
ძალა არ მეყო ოდნავ
და პა, მიწაზე ვცოდავ.

ვაჰან ტერიანის დაბადები-
დან 100 წლისთავი შესრულ-
და. ყველა მოძმე ხალხთან
ერთად ქართველი ხალხიც ზე-
იმობს „სომხური პოეზიის ჩა-
უმქრალი ვარსკვლავის“ იუბი-
ლეს.


ნათელა გიორგოზიანი



ეროვნული პრესა

საქართველოს

ეროვნული
პრესა



დავით აკხმეტელი

სდემ, ჯარისკაცი!

ომს იგონებენ წყევლით და კრულვით, რალაც შორეულს, რალაც საშინელს... აგერ, ყავარჯნის ჭრილი ჩემი გვესმის გზაზე და ყველას გვაშინებს.

ტყის განაპირას სულ ყოველ დღით, წარსულის ექოდ, მომავლის ბედად, ბიძია პროშკა მიყვება ბილიკს ძველი ყავარჯნით... თუმცა ვერას ხედავს.

მიდის, ცალ მუხლზე ხელის დაბჯნით, ჯოხის კაყუნით და კვნესა-კვნესით... და ეს გოდება ძველ ყავარჯნის, ვით ზარის რეკვა, ქვეყანას ესმის.

სდემ, ჯარისკაცი! არ ხარ ძლიერი, სდემ, ყავარჯნო, ვერა გრძნობ, განა? რომ იქ მიხვედი ძვლებდამსხვრეული, სად შენი ძმები ძეგლებად დგანან.

იყურე ერთხანს. ცრემლით კი არა, მწარე ღუმლით, ვაჟკაცის დარად.

მერე ყავარჯნის ჭრილი-ჭრილით ისევ გაჰყავი სოფლისკენ შარას.

რკინის საწოლთან აგტკივა გული, სულს აგიწიწენ ძველი დარღები. მერე თვალისჩინს მოგტაცებს რული, ლამაზ სიზმარში გადასახლდება.

და ბედნიერი... შენს გულის სწორობას, როგორც შეჭფერის ჭაბუკს წვივანდელს, თავბრუდამხვევით იცეკვებ „პოლკას“. მთლად დაქანცვამდე, მთლად წაქცევამდე.

ლურჯი სიზმარი არ მიღირს გროშად, არც გყვები ზღაპარს, სადღაც გაგონილს. ყავარჯნით მოდის ბიძია პროშკა, ვითხოვ, დაღუძმდეს ყველა გარმონი!

თბილისისაკენ

გზისპირ ყვავილებს ცუნოსავ და არ ვკრეფ, ასე თეთრგულეებს, ასე ლამაზებს. ძველ თანამგზავრებს კმორდები განგებ და ახლებს ვიძენ ამ ქვეყანაზე.

რა სურათია!.. ნახატი ყალბით, მღლით ქართული ზეცა დამყურებს. ვსვამ კახურ ღვინოს მე თიხის ჯამით და მოიმის ჯამთან შევაჯახუნებ.

თამაშ-თამაშით, ჩხრიალ-ჩხრიალით, ჩქარი მდინარის ტალღები რბიან. მზე კი არ გათბობს სხივთა ბრიალით, ქართველის გულსაც ლღარია ჰქვია.

წინ ხეობაა, გზაა ტყიანი, იარე, მუხლი მოლალო ვინძლო. აგერ, გოგონა ნაწნავიანი — მე მას ჭაბუკურ წლებიდან ვიცნობ...

სიკვდილ-სიკვდილის უძლიერეს პანგებს დაჰგუგუნებენ მთები ვედრებით. ძველ თანამგზავრებს ვშორდები განგებ, ახალ მეგზურებს მივედლები.

ეს ალტაცება, რაც ვიგრძენ გუშინ, ვით შევძლო, ლეჩსად არ გაიამყლავნო? მე საქართველო ჩემს ალალ გულში შემოვადრძენი სამარადქამოდ!

თბილისი, რუსთაველის ქუჩა

ვცხოვრობ ამ ლამაზ, ფართო ქუჩაზე, ჰერის ნელი სიო, მე ვალბე ფანჯრებს. გავექერ სამხრეთულ ღამეს უნაზესს, ვარსკვლავთა შორის ერთ ვარსკვლავს ვარჩევ.


ისაა... დიდი პოეტის ლანდი გამოგქცევია, ცაო, ნათელი!.. ვარსკვლავად ბრწყინავს, გამზირზე დადის, დადის და ლოცავს მთლად საქართველო.

— ბედნიერ იყავ, აწ და მარადის წა, შეუერთდი მიწის მადლი გფარავდეს, იბრწყინე ასე და იელვარე!

ო, ერთხელ მაინც შორიდან ბედად, მეგობართა და ნაცნობთა თვლით, თუნდ ერთი წუთით რომ შემახედა, ვით დაგამჩნიე ჩემს მიწას ყვალთ... თუნდ ერთი წუთით... ხომ შევიფერებ, ხომ სხვა ცხოვრებით ვიცხოვრებ მერე?!

ბელორუსულიდან თარგმან

დავით აკხმეტელი



დავით აკხმეტელი

საქართველოს

მე ფიქრშიც ხშირად ავიდევნები შენს გზებს, ზღაპრული მზიბლავს ხედები: შენი მტკიარი და შვინდის ტეკრები და პირველქმნილი მწვანე ქედები. მთის კალთა თეთრად გადაუზურავთ ცხვრის ფარებს, ცისქვეშ შეფარებულებს, და გზას უნათებს შენი შუქურა მეზღვაურებს და შეყვარებულებს. შენთან მეც იმის შუქზე მოვცურე და უმაღ გულის სითბო ვიგრძენი. დიდი სინათლით გარემოცული, შენ ჟანგარო ხარ მასპინძელი. ...მწვერვალს ეკიდა მთიარის საყურე, ხევში ლოდები იწვნენ დიდრონი, და, როს წყაროთა ხმას მივაყურე, სულში შეტრიადა ვაჟის სტრიქონი.

მცხეთის ჭიშკართან კრძალვით მოვილი და რიყრის ქამს ქება ვუთხარი უცნობ ოსტატებს, ვინც საკუთარი სისხლით ჩაიკრეს სვეტიცხოველი. შენი სიკეთე სხივს მომამუქებს და მუდამ თან მდევს, ზაფხულ თუ ზამთარ, ის შთაგონება, შენ რომ მაჩუქე, შრომის ქამსაც და სიმღერის ქამსაც.

სამასი არაგველის ოჯალისკთან

თბილისის მიწის წიაღიდან ცად ატყორცნილა სვეტი ალისა — ვარდისფერი მარმარი თლილი, და უკვდავების ცხელი ბავით გადაცნისი, მარადიული ცეცხლის თვლით გაჰყურებს თბილისს. გვამცნობს წარწერა, მზის საჭრეთლით ამოკვეთილი, მამულის დამცველ არაგველთა უკვდავ გმირობას. ანთია ცეცხლი — იმ ვაჟკაცთა სული კეთილი, მომავლის რწმენა თუ წარსულის ღია ჭრილობა. სამასნი იყვნენ... უამრავი მტერი აკაფეს... სამასნი იყვნენ... გადუხადათ ქარმა ალაპი... ჩაედუღაბნენ სამშობლოს სიმტკიცის კედელს... — ო, საქართველო, დაღუპულთა დებსა და დედებს ნუგეში უთხარ, მიეფერე დედური ხელით, ქვასაც რომ დასწავს, შეუმშრალე ის ცრემლი ცხელი. შენ კი, პოეტო, სიტყვა დასძარ გულის სიღრმიდან, გმირთა ამბავი გადაეცი შთამომავლობას. თქვი ისე გულში ჩაუქრობულ ნათელს გვიღვრიდეს და გმირთა ხსოვნა ვერ დანისლოს წელთა მრავლობამ. დგას ობელისკი, უკვდავების საჭრეთლით თლილი და მარადიულ ცეცხლის თვლით გაჰყურებს აბილისს.

რუსულიდან თარგმან თაიშურა ჯანგულაშვილმა.

აი, ასეთი პიროვნებაა ქრუცინი!



გივი გაჩეილაძე.



ხარატი გივი გაჩეილაძე, ხარატი გიორგი კვანტალიანი და ზეინკალი თემურ ღურღიაძე.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი გივი გაჩეილაძე ალალმართალი კაცია, მომთხონი და პრინციპული.

ერთ საგულისხმო ამბავს მოგიყვებით. კრება მთავრდებოდა. ყველაფერი გარკვეული იყო. ქარხნის მექანიკური საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი, კუთხეში მიმჯდარი ახალგაზრდა მოწინავე მუშა კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად უნდა მიეღოთ.

— ხომ არ ვჭკარობთ?!

გივი გაჩეილაძე წამოდგა. შუბლზე მოცვარული ოფლი მოიწმინდა. გარინდებულ დარბაზს მიმოავლო თვალი და განაგრძო:

— მართო პირადი წარმატება არ კმარა. თუ ქარხანა გიყვარს, სხვასაც უნდა დაეხმარო. ასეა თუ არა?

— ასეა!

— ჰოდა, რახან ასეა, ამ მოწინავე ახალგაზრდა ხარატმა კეთილ ინებოს და სხვასაც დაეხმაროს.

— ეგ როგორ?

— როგორ და, ჯერ საამქროში რამდენიმე ჩამორჩენილი კომკავშირელი დარბაზმოს, საერთო საქმე წინ წასწიოს და პარტიის წევრობის კანდიდატად მერე მივიღოთ. გასაგებია?

მართალს ამბობდა გივი გაჩეილაძე. ქარხნის გამობრძმედილი მუშაკაცი, პრინციპული კომუნისტი, კუთხეში მიმჯდა-

რი, მორიდებით თავდახრილი ახალგაზრდა ხარატის ღვიძლი მამა.

მართალს ამბობდა და ყურად იღეს მამის ნათქვამი. იმსჯელეს აწონ-დაწონეს და მერაბ გაჩეილაძის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიღების საკითხი დროებით გადადეს.

პრინციპულობა ჩვევად მოსდგამს. ოცდაშვიდი წლის წინათ, როცა შორაპნის ღებოს სარემონტო მექანიკური საამქროდან თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში გადმოვიდა, ხარატმა გივი გაჩეილაძემ მუშური სინდისი წამოიძლიოლა.

არ უღალატია. უხმაუროდ შრომობდა, მოწადინებით. წლების მანძილზე საქმესაც სამაგალითოდ აუდიოდა და თუკი მისჭირდებოდა — სხვასაც ახმარდა ხელს.

წარმოჩენა არასოდეს უძებნია. თვითონ მოვიდა. მოვიდა დროულად. დამხახურებულად. ალალი შრომისა და ფიქრის საზღაურად, მისაგების — მისაგებად.

მუშათა კლასის სახელოვან წარმომადგენელს გივი გაჩეილაძეს შრომის წითელი დროშის ორი ორდენი უმშვენებს მკერდს. იგი ოთხჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. გივი გაჩეილაძე საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრია; თბილისის საპატიო მოქალაქედ გახლავთ და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც; შრომის დამკვერელიცა და რაციონალიზატორიც, ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის კომიტეტის წევრიცა და ქარხნის მშრომელთა საზოგადოების კომიტეტის თავმჯ-

დომარეც; გულისხმიერი მეგობარიცა და ახალგაზრდების საიმედო აღმზრდელიც...

ახალი წლის პირველ დღეს პირველი სიხარული მოჰყვა. გივი გაჩეილაძემ შინ ლენინგრადიდან გამოგზავნილი წერილი მიიღო. ბარათს დიდი სამამულო ომის ვეტერანი, კომკავშირის გვარდიელი, ამჟამად სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ლექტორი უცნობი ოლია მურაშევა იწერებოდა.

— პატივცემულო გივი სერგოს ძე, საკავშირო ტელევიზიით გავცანი თქვენს გმირულ შრომას. აღფრთოვანებული ვარ. მახარებს თქვენი სამაგალითო შემართება.

ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებმა გივი გაჩეილაძე ამას წინათ კვლავაც წამოაყენეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

— მუშათა დინასტია! ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ ქარხანაში.

დილაბნელი ტყდება.

სხვებთან ერთად, ქარხნის ჭიშკრისკენ მამა-შვილი გაჩეილაძეებიც მიიჩქარაან.

მიდიან მძიმე, მტკიცე და მოზომილი ნაბიჯით. ორივე კომუნისტია. ორივე ლაურეატი. შვილმა — მერაბ გაჩეილაძემ საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატობა დაიმსახურა. ეს ჯილდო მან საერთო საქმეში თავდადებული შრომისათვის მიიღო. მის წარმატებაში კი, აკი ვთქვით, მამამისსაც მიუძღვის წვლილი.

ოთარ ქავთარაძე

სიჭეპუნა ზარიანსკის ცეპუნი

პასილ გვერდი

● ახლაც ხელმეუხეზადაა მესხიერება-ში შენახული ძველი, მესხიშვილისეული თეატრის შენობა ქალაქის შუაგულში, მშვენიერი „ბულვარის“ წინ. უამთეატროდ წარმოუდგენელია ქუთაისი, მისი საზოგადოება, რომელსაც უყვარს ლამაზი სანახაობა და გულში გამოვლილი პოეტური სიტყვა.

სწორედ ამ შენობის გვერდით, სცენის მხარეზე, იქ, საიდანაც მხოლოდ მსახიობები შედიოდნენ თეატრში, ზედ ქუჩის პირას, ერთი მომცრო ოთახი მწერლებისთვის დაეთმოთ მაშინდელი ქალაქის მესვეურებს.

ცოტა მოგვიანებით იყრიდნენ პოეტები აქ თავს.

მოეწყოთ ეს ოთახი ისეთნაირად, როგორც თავმოყვარე, რიგიანი ქარგალ-ხელოსნები აწყობდნენ ადრე თავიანთ სამუშაო კუთხეებს: ხალვათად, უბრალოდ, ყოველგვარი ზედმეტი მორთულობის გარეშე. ერთმანეთზე მიედგათ ორი საწერი მაგიდა. ირგვლივ შემოეწყოთ სელების სკამები.

ეს ოთახი იყო ყველაზე უწმინდესი ადგილი მაშინ ჩემთვის — ხატი და საფიცარი. ალბათ, ასეთივე დანიშნულება ექნებოდა მას იმათთვისაც, ვინც ჩემსავით ოცნებობდა ლიტერატურაში შესვლაზე.

მორიდებულად ავუვლ-ჩაუვულებიდი ხოლმე ქუჩის მხარეზე გამოჭრილ ერთადერთ ოთხკუთხა სარკმელს. შიგ შეხედვა კი ვერ გამებედა.

ერთხელაც, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, სკოლიდან ჩვეულებრივად გამოვემართე აქეთეკენ. ოთახში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. შევატყვე, რაღაცაზე დაობდნენ.

გაზაფხულის მზიანი, უქარო დღეა. თბილა და კარები გამოუღიათ. გაცხარებული საუბარი აქვთ.

ღია კარებთან ვდგავარ. ვერც შიგ შევდივარ, ვერც ადგილიდან ვიცვლი ფეხს. არადა, ასე მალულად სხვათა საუბრის ყურისგდება, არც კია მაინცდამაინც საკადრისი საქციელი.

იბლად კარებში ტანმკვრივი, კუნთიანი, სხარტი, ვერცხლივით ცინცხალი შესახედაობის ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა.

შუბლთან შეთხელებული შავი თმა შუაზე გაეყო. ლურჯი, ჩაშვებული ხალათი ეცვა, ფართო გულსიჭიბეებიანი, სადა და ხამეტნავად უბრალო. ყელზე შავი პალსტუხი ეკეთა — გაბანტული, გაფუძულებული.

სევერიან ისიანი გამოდგა ეს კაცი — აზრიანი, ჭკვიანი პიროვნება, ნაჭედი, შეკრული სტრიქონების ავტორი, უკვე კარგად ცნობილი პოეტი.

სხვათაშორის, ადგილობრივ საქალაქო გაზეთში იმ დღესაც დაიბეჭდა „გარბენის გმირი“, ერთი მშვენიერი ლექსთაგა-



ნი მის პოეზიაში. ცოტა მოგვიანებით იგივე ლექსი ჟურნალმა „ჩვენმა თაობამაც“ გამოაქვეყნა.

ერთი სიტყვით, მაშინ ქართველი მკითხველისათვის უცხო არ იყო სევერიან ისიანის სახელი. მე კი ზეპირად ვიცოდი „შეხვედრა ქართან“, „მზეს ამოიტანს რევოლუცია“ — სამოქალაქო პათოსით გაჟღენთილი ეს საუკეთესო ცეცხლოვანი ლექსები, ასე რომ გამოირჩევა სხვებისაგან და აქამდე შერჩათ პირვანდელი სინედლე და ცხოველმყოფელობა.

მგრძნობიარე გულის პოეტი უეჭველად მიხვდა ჩემი დაბნევის მიზეზს. მოვიდა, გამომესაუბრა, ოთახში შემეყვანა. ჩემი ლექსები გადათვალიერა. ზოგიერთი ხმამაღლა წაიკითხა.

გაოცებული დავრჩი იმით, რომ კაცი, რომელსაც ერქვა სევერიანე, ასეთი ახალგაზრდა იყო.

დღესაც არ ვიცი მე, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ჩემმა ნაცოდვილარმა. არც იმის გარკვევა შემიძლია, იმ სტრიქონებიდან, მაშინ რომ გადაიკითხა, მართლა მოხვდა გულზე რამე თუ ისე, გასამხნევებლად შემაქო. ვიცი მხოლოდ ის, რაღაც ათიოდე წლით ჩემზე ხნოვანმა კაცმა, ჭეშმარიტმა პოეტმა, რომელიც სულ მალე ჩემი უფროსი მეგობარი გახდა, ამ თბილი საუბრითა და შეხვედრით სამუდამოდ დამამახსოვრა თავისი თავი.

...1936 წელი იყო. ერთბაშად ამოღორთქილი ფოთლები აპრილებოდნენ ჭადრებს. საიდანაც მოდიოდა მწიფე ბლეებისა თუ თუთების მოტკბო სუნი და ალუჩის ტოტით ხელში ქუთაისის ქუჩებში დაბრძანდებოდა გაზაფხული...

...ლამაზი სულის ადამიანი, ლამაზად იცვამდა და ლამაზადაც წერდა. კონსტანტინე გამსახურდიას ბრძანებისა არ იყოს, წერის დროს, თითქმის ეფერებოდა, ეთამაშებოდა ოქროს ყუნწზე შეკონწილულ ბულ უკვდავ ქართულ ასოებს. აკი ასე

სახიერად, ხატოვნად გვითხრა კიდევაც: ქარმა შეაკრთო ჩრდილი შველივით, მიმოარხია რტონი ღიღრონი —

ხე ალმაცერად ხელგაშვერილი და თავდახრილი, ვით ასო დ-ონი.

მოხდენილი კალიგრაფიული ხელით ხომ წერდა და წერდა, პათოსიანი ქვებივით ელვარე სტრიქონები დარჩა. დახვეწილი პოეტური კულტურა, რაც დაახლოებით იგივეა, როგორც გემოვნებით ჩაცმა, მისთვის სრულიადაც არ იყო უცხო.

სევანეთის მთების სიზვიადესი ყვავილებივით თრთიან მისი სურნელოვანი სტრიქონები. „თეთნულდზე ასვლა“, „ცარლა“, „და კრიალებდეს უღრანში გზები“, ახალი თვალით დანახული, დაუფიქარი სევანური კოლორიტით გაჟღენთილი ლექსებია. შეკვირტული ტოტივით ნედლი, მოთიბული ბალახის მწკლარტე და თავისებურად სასიამო სუნი დაჰკრავთ ამ ლექსებს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე.

„არა, კალმის და წიგნების კაცად მე დღეს დარჩენა არ შემიძლია“, — თქვა პოეტმა-პატრიოტმა და მოქალაქემ მაშინვე, როგორც კი ომი დაიწყო. გამოეთხოვა შრომითა და ოფლით შექმნილ ოჯახს, მშობლიურ კედელ-ყურეს, სადაც მისი აკვანი გადაიწა, მიწას, სადაც „მუხების ჩრდილში სტრიქონს ჩარხავდა“. ყველაფერს გამოეთხოვა... შვილის საფლავსაც, თავის მარიკასაც.

დასაფასებელი ქალაი მარიკა, პოეტის მშვენიერი ცოლი, სიკეთით სავსე ადამიანი. მე იგი მინახავს მუდამ ფიქრიანი, სანთელივით სათნო, მაღალი, ნაწნავებიანი, შავგვრემანი. მახსოვს სიცოცხლით გახარებულიც, როცა მისი პოეტი ეუბნებოდა: „მინ ვარ თუ გარეთ, შენ მახსოვხარ, შენ მაგონდები და ვერასოდეს, ჩემო კარგო, ვერ დაგმორდები“.

წავიდა ომში პოეტი, ახალგაზრდა კაცი, სულ რაღაც ოცდაშვიდი წლისა. ყირიმში მოხვდა. მოხვდა იქ, სადაც ჩვენი რჩეული ბიჭები დაიხოცნენ:

რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება... რამ ათქმევინა ამ კაცს თავის ბედობაზე ასე ზედგამოჭრილი სიტყვები. ეტყობა, სხვა რომ არაფერი იყოს, ომის სახიფათო გზაზე დამდგარმა ჯარისკაცმა აშკარად ამოიკითხა მისივე სულის ლაბირინთებში შენახული წინათგონობა. და მან, გაუხარებლმა და საოცრად ნიჭიერმა ბიჭმა, თვალეზში შეხედდა კარზე მომდგარ უბედურებას.

იმ დღეებში, ფრონტზე, პირდაპირ სანგარში დაუწერია „ნახვამდის“.

ამ ლექსს ხომ აუღელვებლად ვერავინ წაიკითხავს. ეს არაა მარტო ლექსი... რაღაც უფრო მეტია, უფრო ამაღლებული, სათნო, სათუთო! თუმცა რაღაა ნამდვილ ლექსზე სათნო და ამაღლებული? მტერზე ხიშტმემართული ჩაპყურებს სიკვდილს თვალებში. აჰაფეო!.. გუგუნიბენ ჭალარა მთები. დაჰქარო!.. ყურში ჩასძანის შურისძიების ხმა. მოკვდი, მაგრამ „მტერს ნუ გაულებ სამშობლოს კარებს“... ამ სიტყვებით თვითონ პოეტი მიმართავს თავის თავს.

და მერე, როგორც პაერში ხმალი, ისე გაიკრიალებს მჭრელი, მოკვეთილი, ყველაფრის მთქმელი სტრიქონები:

მე ასე მზრდიდა სამშობლო-დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული...
მაშინ კი, როცა მესამედ დაიჭრა და
ჰოსპიტლის თეთრ კედლებში მოხვდა, მან,
პოეტმა-ჯარისკაცმა, მომავალ თაობებს
გულისტკივილით შესძახა:

მე განშორებას ბევრს მოვესწარი,
ასე წავიდა ჩემი ცხოვრება!..

რაც; მართალია, მართალია, მართლაც სხვანაირად, უიღბლოდ წავიდა მისი ცხოვრება. სხვანაირი ბედი ერგო, — მწარე, გაუხარელი. დამშვიდობება ყველასთან — ხაღდრევი, აუცილებელი! დამშვიდობება სიყმაწვილესთან, საყვარელ წიგნებთან, სტუდენტობის წლებთან, ძვირფას ადამიანებთან. დამშვიდობება ერთგულ ცხენთანაც კი, რომელიც სავსებით იმსახურებს იმას, რომ მისმა მხედარმა ასე უთხრას:

ქაფიან ნაპირს მოადგა ნავი
და ჩვენ დავეშორეთ ერთმანეთს მალე.
მისი ჭიხვინი გულშემზარავი
მომავლნდება და მაჟრიალებს.
ვაჟკაცის ხელი ატყვია მის სტრიქონებს. სახთლებივით ციმციმებენ ისინი ჩა-

სევდრიან ისიანი შეუღლებსა და
სიღვდრთან ერთად.

ბნელებულ, ნესტიან მიწურში. მაღლიდან ჩამოდის წვიმა და კუთხეში ბეჭუტავს ერთი სანთელი. იქ ცალკე მიმჯდარა პოეტი. დაუდევს მუხლებზე ოფიცრის პლანშეტი, ზედ ჩაყვითლებული ქაღალდის ფურცელი და ქიმიური ფანქრით წერს. წერს, რომ მის ქვეშევსებს ვერასოდეს მისწვდებიან ფაშისტი არამზადები, რომ გუშინდელი კანონადის შემდეგ ბატარეა ისვენებს. ფრონტზე დროებით სიჩუმეა და უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერი ჩნდება:

„... ვიწრო და უსინათლოა ჩემი მიწური. მაგრამ ასე ფართო და ნათელი სახლი არსად მქონია. ერთი ციდა ფანჯრიდან შემოდის ბრიანსკის ნაძვნარის სურნელი...“

ხედავთ, როგორ ამბობს: ასე ფართო და ნათელი სახლი არსად მქონიაო? ისე, მართლა, ქალაქში არც კი ჰქონდა საკუთარი ბინა. სტუდენტობიდან მოკიდებული სულ ნაჭირავებ ოთახებში ცხოვრობდა.

წელში გაუმართავი და გაულაღებელი წავიდა ის ომში. აღარავინ დარჩა აქ, ამ წუთისოფელში. ეს პატიოსანი ლექსებია მისი ჭირისუფლები, დამტირებლები. სახელსაც ეს ლექსები უნახავენ და გვარსაც.


ბელორუსიაში, ბრიანსკის ტყეში, ძმათა სასაფლაოზე, სადაც საკმევლისა და სოკოების სუნი ტრიალებს, სამუდამოდ დაესახლა ჩვენი პოეტი. ნათესავ-ახლობელთა ცრემლით არ გამლღვალა მისი საფლავის მიწა. დედას არ დაუყრია გულზე ცრემლები. ცოლს არ დაუტირებია: მისი დაღუპვიდან ცოტა ხნის შემდეგ მარიკაც წავიდა წუთისოფლიდან უხმოდ, უსაყვედუროდ. გულიანი ქალი იყო მარიკა. გულიანი და ჭკვიანი. მისი ხელის შეწყობით ბევრი რამის შექმნა შეეძლო მტრის ხელით მოკლულ პოეტს.

ცოტა თქვა სევდრიან ისიანმა. ბევრის თქმა ვერ მოასწრო. მაგრამ რაც თქვა, თქვა ალაღად, ჟრუჟოვით, ჟრუანტელთ. ყველაფრის გამომკითხველი და მისხალ-მისხალ ამწონ-დამწონი მომავალი გვერდს ვერ აუვლის მის შემოქმედებას. ამაზე მეტყველებს ეს ლურჯყდიანი წიგნიც, რომელიც „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

მდიდრულად არაა ეს წიგნი გამოცემული. თვალს არ ჭრის თავისი მხატვრობითა და სილამაზით. პოლიგრაფიული გაფორმებითაც ვერ ტოვებს მაინცდამაინც კარგ შთაბეჭდილებას. წიგნი კი ნამდვილად წიგნია და მისი დამწერი კაცი, ბოლომდე რომ დაცლოდა, ბევრ შედეგს შესძენდა ქართულ პოეზიას. ჰქონდა მას ამის ძალა და უნარი.

გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, რომელმაც პრესაში მოღვაწეობის დროს პირველმა დაბეჭდა სევდრიან ისიანის თითქმის ყველა ლექსი, თავის წინასიტყვაობაში „სევდრიან ისიანის პოეზია“, სწორედ ამისკენ მიგვანიშნებს. ამასვე აღასტურებს „შეხვედრა ქართანაც“ — ეს პატარა, ცისფერყდიანი წიგნიც, რომელიც კეთილსინდისიერად შეუდგენია ცნობილ მკვლევარსა და მეცნიერს, პოეტის უახლოეს მეგობარს მიხეილ ალავეძეს.

სევდრიან ისიანს, ჭეშმარიტი პოეზიის მოტრფიალეთა და მოყვარულთა შორის, ყოველთვის ეყოლება მკითხველი და თავყვანისმცემელი, რადგან მისი შემოქმედება არ იძლევა დავიწყების უფლებას.



სუბა გარულაპა

ჩემო ხალხო, კეთილო...

ყველას, ვინც მოგილოცა სამოცი წელი და სამოცამოს ჯილდო — ხალხთა მემოზროვის ორდენი.

არა წყდება ძახილი
მთებიდან და ბარიდან:
მეფიერები, მილოცავ,
მამხნელებ და მამშვილებ.
გაგილია ჩემთვისაც
დიდი გოლის კარი და
იგ სიმრავლე წლებისა
იფანტება ქარშივე.

იფანტება, იფრქვევა
ფანტელებად, ფიჭქებად, —
ღმერთო ჩემო, რამდენი
ფანტელო და ფიჭია!
დაუმცხრალი ცხოვრების
გაგრძელება იქნება,
მყოფროება როდია
შვილთა შენთა სტიქია!

შენ მასწავლე სიყრმიდან
ვარსკვლავებთან ჩურჩული,
შენ მაჩუქე ურიცხვი
ფიჭი რამენათევი.
ჩემს მამულში არ არი
სადმი კუთხე-კუნჭული,
მისთვის რომ არ დამენთოს
ერთი წმინდა სანთელი...

ჩემო ხალხო, კეთილო,
ძლიერო და მართლო,
ძველი დარდი ყოველი
გაჰყოლია ზენა ქარს.
შენი შვილი, ერთგული,
ვილარავინ გათვალის,
რადგან მისი მეგზურიც
და მსაჯულიც შენა ხარ!


პასუხი გმირის დედას

ჩემი ხნისა მოიყარა, შვილო!
მამო განდგომიანის წარიღიდან

ვიდრი ამქვეყნად ბოზოქრობს
მეზობლე შენი შვილისა,
მას დარდისაგან დაიცავს
მაგ შენი სიტყვის თილისმა.

მადლობა დამოცვისათვის,
ჭირიმე შენი ჭალარის,
არც მინატრია მე ჯილდო
უფრო დიდი და მაღალი!





ეროვნული
ენციკლოპედია

ივანე ბერიტაშვილი



მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. თავგანწირული შრომით, უაღრესად დიდი ბუნებრივი ნიჭით მიაღწია მან მეცნიერების უმაღლეს მწვერვალებს.

ივანე ბერიტაშვილმა საძირკველი ჩაუყარა ქართულ ფიზიოლოგიას, აღზარდა ნეიროფიზიოლოგთა მთელი პლეადა.


ივანე ბერიტაშვილი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. სოციალისტური შრომის გმირი. მინიჭებული ჰქონდა ი. პავლოვისა და ი. სეჩენოვის პრემიები.

საბჭოთა ფიზიოლოგიის პატრიარქის ივანე ბერიტაშვილის სახელით ამაჟოებს მისი მშობელი ხალხი.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ილია ვეპუა, გიორგი წერეთელი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი და გიორგი ძოწანიძე.



ივანე ბერიტაშვილი.



თქვენა, ჩემო შვილებო და ძმებო, ალბათ იმასა ჰფიქრობთ, ეს რა ყბედი და ტაშფანდურა თამადა გამოგვადგა, რა მეჭიანურესავით გააბამს და აღარ დაამთავრებს ხოლმეო. მასპინძელი რომ არ ვიყო, იქნება სუფრიდან გაგეპანლურებინეთ კიდევ, მაგრამ რათა, კარგებო, ჯერ ხომ ახლა დაბინდლა, მაშ, სხვანაირად როგორ გამოვუთხაროთ ძირი ამ სიგრძე ზამთრის ღამეს. არადა, თქვენც რასა ჰკარგავთ, სად გეჩქარებათ ამაზე კარგ ალაგას, ვისხდეთ და ცოტ-ცოტაობითა ვსვავთ ეს მირონივით ვაზის წვენი. მოკლედ, მოდი, კიდევ ერთი სადღეგრძელო ვთქვათ და ისიც სხვებს მიემატება.

მე რომ პირველად ამ სოფელში ჩამოვედი, ოცდამეცხრე წლისა არც კი ვიქნებოდი. პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, აქეთ გამომანაწილეს. ჩამოვედი და იმის მერე ჩავრჩი კიდევ. თუმცა მოიცა, არა, რაღაცა კარგად არ გამოვიდა, ჩავრჩი კი არა, დავრჩი, კაცო რადგან ჩამოსვლის შემდეგ არც სხვაგან სადმე წასვლა მომდომებია და არც აქაურ ყოფასა და ჩემს ცხოვრებაზე მეთქმის საყვედური.

სოფსაბჭოში აგვისტოს სიცხისაგან გასავათებული ორი კაცი დამხვდა. ახალი მასწავლებლის გამოჩენაზე არც წყენა დასტყობიათ და არც სიხარული. ეგ იყო, ერთი იმაზე შეფიქრიანდნენ, ეს კაცი სად იცხოვრებსო. ჰო, ის რაღა თქმა უნდა, გასაგებია, რომ დღისით სკოლაში იქნება, მაგრამ ღამით ხომ სჭირდება ბინა და თავის შესაფარებელიო. თუმცა, ცოტა ხანში ამ საქმესაც იოლად მოუწახეს გამოსაველი: მითხრეს, ახლა აქედან ქვევით დაუყვე, ორმილასთან სანამ მიხვალ, ჯალალს სახლი იკითხე, მიგასწავლიან და შენც ეგ გინდა, ნახავ ჯალალს, ეტყვი, რომ ესა და ეს კაცი ვარ და თქვენთან უნდა ვიცხოვროთო. სულ ეგ არის. აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორ ყოჩაღადაც მოიქცევიო. დალოცვილებმა ისიც არ მითხრეს, რომ ჯალალა გამოცვლილი სახელი იყო იმ კაცისა და სინამდვილეში ამირანი ერქვა.

მაშინ ჯერ კიდევ რა ვიცოდი, რომ ჯალალაზე პატივსაცემი, დარბაისელი კაცი სოფელში ბევრი არავინ დადიოდა და არც ჩემგანა და არც სხვისგან უკანსაყვიარის ძახება არ ეკადრებოდა, მაგრამ მე, სხვა მხრიდან მოსულს, ეს საიდან უნდა მცოდნოდა. ამით მაინც არაფერი დაშავებულა. ერთი კარგი ჩვევა გვაქვს აქაურებს, საკუთარ სახელზე მეტად გამოცვლილ სახელს შე-

იტკობს და შეითვისებს ხოლმე ადამიანი, რადგან თვითონაც ხვდება, იმის შინაგნობასა და ხასიათს ის უფრო კარგად შეეფერება, ის უფრო ზუსტად გამოხატავს. მაგრამ ჩემი მასპინძლის ამბავი ცოტა სხვანაირად იყო, რაშიც დღესაც არა ვარ კარგად გარკვეული.

ჯალალს თუშები თურმე რაღაცა ყვავივით ფრინველს ეძახიან. თუშები აქაც ჩამოდიოდნენ ხოლმე ყველისა და მატყლის გასაყიდად, ნათელ-მირონობა ჰქონდათ ჩვენს სოფლებთან, მისვლა-მოსვლა, მიყოლ-მოყოლა. არავინ იცის, ჩემს მასპინძელს ნამდვილად იმათ დაარქვეს ეს სახელი თუ სხვა ვინმემ, მაგრამ გაკვირვებული კი ძალიან ვიყავი: ფრინველს ის არ ჰგავდა და შავი ის არ იყო, მაშ რით მიამგვანეს ჯალალსა. ვითომ სიარულით? არ ვიცი, რა ვიცი...

კოჭლი იყო ჯალალა. კოჭლი კი იყო, მაგრამ ეგეთი თვალადი, ეგეთი აწყობილი სახის პატრონი არც იქამდე და არც მერე აღარავინ მინახავს. ცოლიც რომ თავისი შესაფერისი ჰყავდა! მე რომ ჩამოვედი, დარო ძალოს ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა და უკვე განშიც წასულიყო, მაგრამ ძველი ეშხი და სილამაზე ჯერ კიდევ შემორჩენოდა. აივანზე რომ გადმოდგებოდა დიანბეგის ქალივითა და აათამაშებდა ბროლის თითებს, იმის ყურებას არაფერი სჯობდა. ეგ არის ამისათვის ძალიან იშვიათად იცოლიდა.

ბიჭი ჰყავდათ ჩემზე ორი წლით დიდი. ის რომ შესძენოდათ, მამას ამირანი დაერქმია და ამით თავისი ჯალალობისთვისაც სრულად დაეცა დასტური.

ძალიან შორს წავედი და ეს გაჯანჯლებული სიტყვა კიდევ უფრო რომ არ გამიჯანჯლდეს, მოკლედ მოვჭრი: დავიწყე ჯალალსთან ცხოვრება. პირველ ხანებში ორ-სამ თვეს არა უშავდა რა, მოწყენა არ მიგრძენია. სანამ დარბეზი იდგა და სანამ სითბო იყო, სიფლის ახალგაზრდობა ყოველ საღამო ემანდ ორმილასთან იკრიბებოდა და შუა ღამემდე იყო ერთი სიცილ-ხარხარი და თქართქარი, მაგრამ მერე და მერე სიცივემ თავისი ქნა და თანდათან სახლებში შეიკრივა სოფელი, უსაქმოდ გარეთ თავის გამოყოფა აღარავის ეხალისებოდა. დაიწყო ნისლები, მაგრამ რა ნისლები! კამეჩის მაწონივით სქელი, დანით გასაჭრელი. ხუთ წელიწადს სტუდენტობაში ნაცხოვრებასა და იქაურ ლაღობასა და ჩარფუხანას ნაჩვენეს, გამიჭირდა ეგრე გაძლება. მე შენ გეტყვი და ფერად ტელევი-



მოთხრობა

თამაზ ხალაძე

ზორს მიეუჭდებოდი ან კინოში გავიქცეოდი თუ რა. აბა, დრო იმას ეთქმოდა: მაშინ მეგონა, მარტო მე გამიჭირდა-მეთქი, რა ვიცოდი, ყველა მეტ-ნაკლებად ჩემს დღეში რომ იყო და ყველას თვითონ რომ უნდა გამოენახა ამ გასაჭირიდან თავის დახსნის საშუალება.

მიმიხვდა ჯალალა, ჩემს თავს კარგი ამბავი რომ არა ტრიალებდა, მხარი მომცა და შემეშველა, თავის მარანში ჩამიჩვია. თქვენთვის ეხლა ეგ ამბავი არაფერსა ნიშნავს, ჩემთვის კი იქ შესვლა, სამოთხეში შესვლას უდრიდა.

სილამოს კარგად ვივანშმებდით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთ-ორ ჭიქა ღვინოსაც დავაყოლებდით, მერე ამირანს თვალს ჩაუუკრავდი და დარო ძალოს გასაგონად განვაცხადებდი.

— ეგეთი ვანშმის შემდეგ ძილი ყველაფერსა სჯობია, მაგრამ ხვალისათვის დღიური მაქვს დასაწერი, უიმისოდა აბა რა ჭირი და სიკვდილი უნდა ვქნა გაკვეთილზე, — და ჩემი ოთახისაკენ წავიდოდი.

— ეჰ, მეც ჩავიდე და გომის კარ-ფანჯარა დავჩულო, თორემ ისეთი სიცივეა, ამაღამ ყვავსა და ყორანს ერთად შეჰკრეფავს. — ჯალალა პალტოს წამოისხამდა და ხველებ-ხველებით მიდიოდა საქონლის დასახედად.

ოციოდე წუთში მარანში შევიყრებოდი სიმივენი. ჯალალს უკვე აევსო ხელადა და სამ ქამრიან ჭიქასთან ერთად დაბალ ტაბლაზე შემოედგა.

— ჭოქამოსავარდნელებო, მუცელეებო, უკვე ჩაიპარეთ, არა? — ჩამოდიოდა მაღლიდან დარო ძალოს წყევლა, — ტიკუსუსუნე, ეგ ბიჭები არ დამიციო, თორემ შენ გინდაც კისერი გიტეხია, მე არ გიღარდო.

ცოლის ჭოთქოთი ტყემლის ჩირადაც არ მიაჩნდა ჯალალს და ჩვენ, მითუმეტეს. მშვიდად შევეუფრებდით ერთმანეთს თვალებში, მშვიდად ვამბობდით სადღეგრძელოებსა და

მშვიდად ვჭრუბავდით ფაფასავით ღვინოს. რამდენიმე სადღეგრძელოს მერე ჯალალა დიდის ამბით ამოიღებდა ჯიბიდან ბოლოკს და მესაათის სიფრთხილით დაუწყებდა ჭრას. მე და ამირანი ხელებში შევიცივინებდით, სული გველეოდა, ჩვენს წილს როდის მოგვცემდა. იცით რა ჯიშის ბოლოკი იყო? როგორი გემრიელი? დიდი, მოგრძო, მოწითალო-მოლურჯო, გასჭრიდი და თეთრად აქათქათებული ჯანსაღად გადანათებოდა. მაგრამ რათ გინდა, სწრაფწარმოვალი სიამოვნება იყო, ტკბობას ვერ მოვასწრებდით, ბოლოკის ნაჭერი ისე გავვიქრებოდა თვალსა და ხელს შუა.

— ამოდით, თქვე აღრე და მალე დასამიწებლებო, ამოდით, თქვე მუცელჩასახეთქებო, გეყოფათ. დაიყინებით და მერე ჭირად მე გამიხდებით. — მაშას აბრაგუხებდა ზევიდან დარო ძალო.

ჩვენ ვითომ არაფერი გვესმოდა. ვიცოდით, ის არ ჩამოვიდოდა და ჩვენც სანამ ჩვენს საქმეს არ მოვრჩებოდით ფეხს არ მოვიცვლიდით აქედან. მაშ, იმის წყევლისათვის რაღად უნდა გვეგდო ყური? განა ჩვენ ჩვენი საფიქრალი თავზე-საყრელად არა გვქონდა.

— ერთიც გექნება რა, მამი, ერთიც გექნება... — იხვეწებოდა ამირანი.


— ჰო, რა, ჯალალა ძია, ერთიც დაჭერი რა... — სიტყვას ვაწევდი მეც.

— ე! რომ მქონდეს, მა რა-ლა დღისთვინ მინდა, სხვას ვის შევუნახავ? — გაოცებული შლიდა ხელებს ჯალალა.

— ხო ვიცი, რომ გექნება, მამი, ეგრე რათ იცი ხოლმე, კაცო!

— ე! მექნება რა, განა ეხლა ვგლეჯავ, აბა გაიხედე გარეთა, რამსიმაღლე თოვლი დევს.

მიუხედავად ასეთი ცივი უარისა, რამდენიმე ჭიქის მერე კიდევ ერთ ბოლოკს გამოამკრენდა საიდანაც და ჩვენც ღამის ხელებში ვცემოდით. ერთ ხელადაზე სამი ბოლოკით



იოლას გავდიოდით. მეორე ხელადას რომ დავიწყებდით. ჯალალა ღირის ამბით გამოაცხადებდა: თუ ვინმეს სადღეგრძელო გაქვთ სათქმელი მე ჩემდა თავად ნება მომიცით და მოლოდინით შემომხედავდა. მიუხედავად ყოველდღიური გამეორებისა, მაინც შემჯერტალი ავიღებდი ხოლმე ჭიქას, დარცხენილი მალა, გამჭვარტულ კოჭებზე მზერამიცივებული, გაუბედავად ვიწყებდი:

გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ელოსა? როგორ დაეცნენ ლეკები ბაკურის ციხე-ეზოსა? მამა-შვილი გაფაციცებულეები შემომცქეროდნენ და წერტილ-მძიმესაც არსად ჰკარგავდნენ, თვალებითა მჭამდნენ, სუნთქვითაც კი აღარა სუნთქავდნენ, თითქოს დღეს პირველად ესმოდათ ეს ლექსი. მე ნელ-ნელა ვდგებოდი ფეხზე და თანდათან ხმასაც ვუშვამლობდი:

...„ვაჰ, დედას მტრისას!“ — ესა სთქვა, ხელი გაისვა ხმალებად: „ისევ მე დაგხოცო!“ — და ცოლ-შვილს თავები დასჭრა წამხედ... იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი ოდნავ უკანა მქონდა გაწეული, მალა შემართულ მარჯვენას მოწყვეტით დავიქნევი და უკვე მთელი ხმით ვქუხდი:

...„გაუხტა ხმალმოღერებით, ფრანგულმა გაიცინათ: თორმეტი მოკლა ციხის

კარს, ერთურთზე დააწვინათ. ვეფხესაც დააცვდა

კლანკები: ბაკურმაც დაიძინა.

ჯალალს თვალებიდან წამოსული კურცხლები დიდ თეთრ ულვაშებში იკარგებოდნენ.

— როგორ დამიცოტავდა

გული. კაცო, ერთიბერო რამეზე მეტირება. — ბოდიშობდა თავის გულსუსტობას. მე და ამირანიც ჩუმაღ ვიწმენდით ცრემლებს. ბოლოს წვალეზ-წვალეზით, წვერმოტეხილი ენით, როგორც იქნა, სადღეგრძელოსაც ვიტყვოდი.

— ბაკურს ცოლ-შვილი აღარ დარჩა და ნაშიერი, მოსვინი აღარავინა ჰყავს, ჰოდა მოდი, ჩვენა ვთქვათ იმისი სულის მოსახსენებელი...

ჯალალა კიდევ ერთ ბოლოც ამოაძვრენდა, ოთხად გასჭრიდა და იქიდან ორს მე გადმომაწვდიდა. მე ერთ ნაჭერს შევჭამდი. მეორეს კი სამად განაწილებდი, რომ საყველამინდობზე დაგვეყოლებინა.

არ დაიჯერებთ და ეგეთ ამბავში ვიყავით ყოველდღი. არცა გვებზრდებოდა, არც დარო ძალოსი გვეშინოდა და ღვინოზე რომ არაფერი ვთქვათ, ბოლოკიც არ გველეოდა.

ვერაფერს გეტყვით, პირველად ლექსი რომ მათქმევინა, ან რალა მაინცდამაინც ეს ლექსი ავიკვიატე. თუ პოეზიის ცეცხლი მწვავდა, რატო პუშკინის ან ლერმონტოვის ლექსს არ ვამბობდი სასწავლო პროგრამიდან, მე ხომ რუსულის მასწავლებელი ვიყავი, და თუ ამ ხალხში თავის გამოჩენა მიწოდდა, მითუმეტეს. მე შენ გეტყვი და მეტოქე გამომიჩნდებოდა ვინმე და სხვასაც ეცოდინებოდა სოფელში რუსული ლექსები: რა ვიცი, რა ვაიგება, ეგრე კი გაგრძელდა ორ წელზე მეტი, სანამ ცოლი არ მოვიყვანე და ცალკე არ დავსახლდი.

ოჯახში სხვაც ბევრი საზრუნავი გამიჩნდა, ბაკური და ჯალალს ბოლოკი თანდათანობით გადამაფიწყდა, იმათთვის იშვიათადლა ვიცლიდი.

დროს თავისი მიჰქონდა, ძველი ქვიფ-ხადილობა დავიწყებას ეძლეოდა. შვილები დამეხვია, ასაკში შევედი, საკუთარი თავისათვის საღა მეცალა, წლები კი გადიოდა და გადიოდა.

ერთ საღამოს, გვიან შემოდგომაზე, როცა ჭირნახული მივაბინავეთ, ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინეთ და დამშვიდებით ამოვისუნთქეთ, როცა სხვა ბევრ რამეს ველოდი და ამას ნამდვილად არა, სახლში ჩემი უფროსი ბიჭი მოვარდა და შემომქაქანა:

— კაცო, დარო ბეზიას დაუბარებია, ჯალალა კვდება და შენა გკითხულობს, შენი ნახვა უნდაო!

აუჰ! წამიხდა ხასიათი. რალა გამაჩერებდა, იმ წუთშივე ავდექი და გადავვიდი. ბევრი ჯაღაგ-მისნობა აღარა სჭირდებოდა, დავხედე და მივხვდი, ჯალალს საქმე მართლა წასული იყო: იწვა და რალაც ისეთი ნათელი ედგა სახეზე, შეგეშინდებოდა. შემომხედა და წყნარად გამიღიმა.

— მოდი, აემ სკამზე დაჯექი, — წყნარადვე მითხრა, — რა მოგივიდა, შე სახეძალო, იქნება მე არ დაგიძახებდი და სიკვდილს წინ მაინც არ უნდა მნახო?

ავიწურე, რალაცის თქმა დავაბირე, გამაჩუმა.

— არ გინდა, ჯერ მე მომისმინე. ჩემს ძმიშვილებს ხომ იცნობ, სამნი ისენი იქნებიან, ორნიც თქვენ — ამირანი და შენა. პირველად თქვენ უნდა ასწიოთ ჩემი კუბო, სახლიდან თქვენ უნდა გაიტანოთ ეზოში.

გავქვავდი, გავხვავდი შემეკრა კაბიწი და საწუგეშო ვერაფერი ვუთხარი, რა ვქნა, არ შემიძლია ეგეთი რამე, იცი, რომ კაცი მიღის ამქვეყნიდან, შენ კიდევ რალაცები უნდა

მოუჩნახო, ტყუილებით დაამედო. ისევ იმ სულგანათლებულმა მიშველა, რომელიც ამირანს მიუბრუნდა და თვლი უყო. ამირანი გაგხტა. — მაინც ლევე დაბრუნდა ხელადითა და სამი ქამრიანი ჭიქით. ერთი-ორი სადღეგრძელოს მერე ჯალალამ ბოლოკი რომ გამოაძვრინა, ამ დამძარებულსა და დანაღვლისფერებულ ადამიანს კინალამ ხარხარი ამივარდა. მაშინ მაინც საიდან გააჩინა, კაცო! ცოტა ხნის მერე ჯალალამ ძველებური მოლოდინით შემომხედა და მითხრა:

— ვერა, ბოლომდე ველარ შემოგყვებით, ეხლავე უნდა მომასმენინო!

რალა დროს ჩემი ლექსობა იყო, მაგრამ რას ვიზამდი, მომავლადეს ხომ ვერ გავაწილებდი, დავიწყე. ლუთის მადლით კიდევ მხსომებოდა და ბოლომდე უშეცდომოდ ჩავედი.

ჯალალს თვალებიდან წამოსულმა კურცხლებმა ულვაშებისაკენ გზა ველარ გაიკვლიეს და საფეთქლებს ჩამოუყვანენ. იწვა ეგრე თვალდახუჭული და როდის-როდის ამოიღო ხმა:


— შენ ავიშენდა ოჯახი, სიკეთე მისცეს შენს მონახარს, შენს ნარცხის-ნარცხს არ ანახოს ავი და შავი! მადლობელი ვარ იმ ღმერთისა, ჩემს სახლში რომ შემოგადგმევინა ფეხი.

კედლისაკენ გადაბრუნდა და სანამ იქ ვიყავი, აღარც გადმობრუნებულა.

ორი დღის მერე მოკვდა საწყალი. აცხონოს ღმერთმა, უშარბოროტო, ალალი, მადლიანი ადამიანი იყო. ეჰ, რამდენი სიკეთე მახსოვს იმისაგან.

მალე დარო ძალოც ჯალალამ წაიყვანა. ამირანმა რატომღაც ერთ-ორ წელიწადში ყველაფერი მიყიდ-მოყიდა და სხვაგან გადასახლდა. იმ ხნის კაცისათვის რალა დროს საცხროვრების გამოცვლა იყო, მაგრამ ეგეთი ყოფილა სოფელი, ზოგი მიღის, ზოგი მოდის, მთავარია კაცი არ გამოილიოს, საფლავზე მიმსვლელი არ გაწყდეს. ავე, გადადიოთ და ნახეთ ჯალალასი და დარო ძალოს საფლავები, თუ ან ხელი აკლია, ან პატრონი და მიმკითხველი. კვირა ხომ ისე არ გავა, ჩემი ოჯახიდან ვინმე არ მივიღეს და ქვებს მტკვარი არ გადასწმინდოს და, როცა ამირანი ჩამოვა, მაშინ ხომ წაუვქცევთ და წაუშტყევთ ხოლმე ჭიქას. ეჰ, ჯალალს რა უჭირს, ბრალი იმას, ვისაც არც ცოლ-შვილი დარჩა და არც ნაშიერი. მოდი, ბაკურის სულის მოსახსენებელი ვთქვათ, ჩვენ მადლად მოგვეცემა.

ვეება მარჯვენაში პატარა ქამრიანი ჭიქა არც კი უჩანდა. ჩაჰკარგოდა.



წინამურიდან საგურამომდე...

წინამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წინამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წინამურიდან საგურამომდე ამრიალებულ ფოთლების ზღვაა.

ისევ დუდუნი ისმის არაგვის, ისევ ბიბინებს არაგვის ველი.
ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით,
ღამით ამოსულს და აყვავებულს ნიავეს არაგვი დილამდე ელის.

პეი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
შენს სამას შვილზე ხომ არა დარდობ? — გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი მხეფეები — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!

პეი, არაგვო, მიაბე მინც, შენს სამას რაინდს თუ რას უმღერდი,
როგორ აღზარდე ქართულ ქოხებში და ქართულ აკვანს როგორ ურწევდი!
პოი, არაგვო, მაშინაც, ალბათ, ამავე სევდას მოაქუხებდი.

არავინ იყო ამბის მომტანი, არ გინათებდა გულს ალიონი,
აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს“, არ გუგუნებდა ზარი სიონის,
შენ დაგტიროდა მხოლოდ მოხუცი — დამარცხებული პაგრატიონი!

გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგონებს გაუკაფიათ!
საით ისწრაფვი მინც, არაგვო, და მიაშფოთებ ტალღებს ქაფიანს?
მცხეთის კარამდე დიდი ჩრდილებით მთებს შენი ტანი დაუდაუნიათ.

მცხეთის კარამდე გაისმის ძელების და მუზარადის მსხვერვის ხმაური:
მცხეთის კარამდე წარსულ ბრძოლების ისევ ამცყდარა აურზაური,
მცხეთის კარამდე რეკავს ჯავშანზე დაჯახებული ხმალი ფშაური!

წინამურიდან გულის კარამდე ერთი გზა მოდის — გზა სისხლიანი!
ისევ ჰყოიან ცაში არწივნი და შრიალებენ მთანი ტყიანი,
მთებში ირმების ისმის ყვირილი — გულის მზარავი და სევდიანი,

ეგების მკერდში დასჭრეს ირემი და არ ურჩება ბეჩავს იარა?
განგმირულ შუბლით ეკლიან გზაზე ისევ მგოსანმა თუ გაიარა?
ეგების ამნო მთებს საიდუმლო და დიდი ფიჭრი გაუზიარა?

პეი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
მოკლულ პოეტზე ხომ არა დარდობ? — გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი მხეფეები — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!

პეი, არაგვო, მიაბე მინც, როგორ დაეცა ეს გოლიათი?
ეგების შესწყდა ვარსკვლავთ კაშკაში, გადაფარა მიწას წყვდიადი,
და დამწუხრებულს, კაშხნით მოცულს, მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა?

შთაგონებული სიმღერა. მისი აღარ მოესმის მიდამოს შენსას,
ალბათ, მისთვის ხარ გულწათხრობილი და აღარ ცხრება ტალღების კვნესა,
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები ახლაც აცხია მიწას და ქვებსა!

წინამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა.
წინამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წინამურიდან საგურამომდე დიდი მთები და უძირო ცაა.



გაგოზროვის ნარკი

კლიარი

რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორს, ცნობილ ჟურნალისტსა და დაუცხრომელ საზოგადო მოღვაწეს, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ლაურეატს **მიხეილ დავითაშვილს** დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

მისი წიგნები გამოცემულია ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ჩეხურ ენებზე. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მიხეილ დავითაშვილის ფრონტული სერიები: „სამშობლოს სამსხვერპლოზე მითანილი სიცოცხლე“, „გმირული დღეების ხსოვნა“, „კავკასიონმა გაუძლო, კავკასიონმა გაიმარჯვა“. მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა სახელგანთქმულ ქართველ მხედართუფრის კონსტანტინე ლესელიძეზე ხომ დიდი ხანია, გულით შეიყვარა მკითხველმა საქართველოშიც და რუსეთშიც.

საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა მიხეილ დავითაშვილმა თავისი ცხოვრების ნახევარ საუკუნეზე უფრო მეტი დრო უძღვნა მებრძოლ, შემოქმედებით შრომას. ჯერ კიდევ სრული-

საზოგადოება „ცოდნამ“ გამოსცა მიხეილ დავითაშვილის ახალი წიგნი, რომელშიც მეგობართა და კოლეგების ნაამბობია გადმოცემული. წიგნს სათაურიც შედგამოჭრილი აქვს: „მეგობრობის ნერგი ძლიერი, კოლეგების გულწრფელი ნაამბობი“. მკითხველი შესანიშნავი ჟურნალისტის სხვა წიგნებსა და ნარკვევებსაც კარგად იცნობს. ზოგი მათგანი რუსულსა და უცხოურ ენებზეცაა დაბეჭდილი. დიდი ხანია, ის სათავეში უდგას ჩვენს „სოფლის ცხოვრებას“, ქალაქშიც რომ ისეთივე ცხოველი ინტერესით იკითხება, როგორც სოფელში. რა არ უნახავს რედაქტორს, ვის არ შეხვედრია, სად არ უვლია! მას ხომ ასობით მეგობარი და კოლეგა ჰყავს მოძვე რესპუბლიკებში. პირადად იცნობს ქვეყნის თითქმის ყველა სასოფლო გაზეთის რედაქტორს. ხდება მათ საკავშირო და რეგიონულ თათბირზე, იმართება მათ შორის მეგობრული საუბრები, გამოცდილებათა ურთიერთგზიარების მიზნით — მისვლა-მოსვლა. და აი, ამ შეხვედრათა დროს ურთიერთსაუბრების, ჩანაწერების საფუძველზე აღმოცენებულია ეს მშვენიერი, მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით მდიდარი წიგნი.

დაწერილია ის ცოცხლად, ჩინებული ქართულით. მოქნეული ფრაზა, სასაუბრო სტილი, გამორჩეული ფაქტები წიგნს მიმზიდველს ხდის. აქ ბევრ უცნობ ფაქტზეა ყურადღება გამახვილებული. ავტორს უბის წიგნაჟი აღუბეჭდავს რუს მეგობართა ნაამბობი. მკითხველის თვალწინ კინოლენტივით გაივლივებენ ვლადიმერ ჯიქიასა და ნესტორ კალანდარიშვილის, მიხეილ შოლოხოვისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის, გიორგი ლეონიძისა და ირაკლი აბაშიძის, კონსტანტინე ლესელიძისა და ანდრეი ვოზნესენსკის, ათობით სასოფლო გაზეთის რედაქტორის, დიდი სამამულო ომის, შრომის ვეტერანთა, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეთა პორტრეტები. ჩანაწერები ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს წიგნის ში-


ალ ახალგაზრდა მივიდა რიონის მშენებლობაზე და თანამშრომლობდა მის მრავალტრიაჟიან გაზეთში „რიონის დამკვრელი“. მერე ქუთაისის საქალაქო გაზეთი „მუშა და კოლმეურნე“...

სამამულო ომის დაწყებისას მივლინებაში იმყოფებოდა „ზარია ვოსტოკას“ განყოფილების გამგე მიხეილ დავითაშვილი. როგორც დაბრუნდა, დაუყოვნებლივ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იგი იყო 821-ე პოლკის პირველი ბატალიონის კომისარი. ქერჩის პლაცდარმის ერთ-ერთი ბრძოლის დროს, 1942 წლის მაისში, მიმდებარე მას შემდეგ ჟურნალისტი-მებრძოლი ხდება თავისი თანაბოლკელების გმირული საქმეების მოწმე, თავის მოვალეობად მიიჩნევს, უკვდავყოს და ადიდოს მათი საქმეები.


მიხეილ დავითაშვილის მკერდზე საბრძოლო „წითელი ვარსკვლავის“ ორდენის გვერდით სამი „შრომის წითელი დროშის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და მრავალი მედალი კიადობს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის ყოველი დღე ახალი სიტყვაა მის ბიოგრაფიაში.

„დროშის“ რედაქცია თანამშრომელთა და მკითხველთა მრავალათასიანი არმიის სახელით მხურვალედ ულოცავს ძვირფას კოლეგას დაბადების დღეს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს. ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ გამოზნაურებას მის ახალ წიგნზე.

ნაარსის დალაგება ან გარჩევა. ამას თავად მკითხველი შეასრულებს. ორიოდ სიტყვით გვინდა მხოლოდ ხაზი გავუსვათ ფაქტობრივი მასალის ნაირობას, სიახლესა და სიუხვეს. უნდა ითქვას ისიც, რომ ნაამბობი მშრალად კი არ არის გადმოცემული, არამედ ორგანულადაა ჩართული მსჯელობაში. მშვენიერია „ლენინგრადისკი რაბოჩის“ რედაქტორის, გენადი პანკოვის, ნაამბობი ვლადიმერ ჯიქიანზე. ჯიქია რევოლუციის განთქმული ჯარისკაცი იყო. ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბრის ქარიშხალში ტრიალებდა. ლეგენდად ქცეული კაცის სახელი ამშვენებს პეტროგრადის გმირულ ეპოპეას. მას კარგად იცნობდა თვით ვ. ი. ლენინი. იყო სამოქალაქო ომის გმირი, პეტროგრადის სამხედრო ოლქის კომისარი, შემდეგ ქვეყნის ელექტრიფიკაციის ერთ-ერთი თავკაცი, რიონის მშენებელი. ავტორი გვაცნობს თავის შეხედრებასაც „ახალი საქართველოს მშენებელთან“. ასევე სამახსოვროა ლენინგრადელი რედაქტორის მეტად თბილი სიტყვები ექიმ თამაზ კიკაჩიშვილის შესახებ. ახალგაზრდა ქირურგმა ბევრ ლენინგრადელს სიცოცხლე შეუნარჩუნაო. ბრესტის „ზარიას“ რედაქტორის, პეტრე სუტკის, მონათხრობი ბრესტის მამაც ქართველ დამცველებს ეძღვნება. დასახელებულია ონისიმე ასათიანი, ვანო ზედგენიძე, აკაკი შევარდნაძე, პანტელეიმონ აფხაზაძე და სხვები. რომელთაც სიცოცხლე შესწირეს ციხესიმაგრის დაცვას. ირკუტსკელ რედაქტორს, ვალერი ნიკოლსკის, ახსენდება ლეგენდარული ნესტორ კალანდარიშვილი: „ჩემს მეხსიერებაში მუდმივად იყო „საოცარი პაპის“ ხატებაო“. ჩვენთვის გასაგებია „სოვეტსკაია სიბირის“ რედაქტორის, ნიკოლოზ ბეზრიადინის, თბილი სიტყვები ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის დამაარსებლისა და პირველი რექტორის, აკადემიკოს ილია ვეკუას, შესახებ. „გეოგრაფიულმა ცნებამ „საქარველომ“ ჩემში ხორცი შეისხა სწორედ ასეთი აღამიანებით და სიმღერა „სულიკოთი“. როდესაც ვიხილე საქართველოს



მკითხველი
გაგოზროვის



(1941 წელი)

უძველესი დედაქალაქის მცხეთის შეუდარებელი ტაძარი, ქართული ორნამენტების ზვეულები და უმშვენიერესი ჩუქურთმები უზარმაზარ ქვებზე, აღარ მიჯვირს, რად არის ასე ვიჭყატური სულისა ქართველი ხალხი, რად არის ასეთი ნაზი და მოალერსე მათი მეგობრული სიტყვა, რად არის ასე გონიერი და პურადი ქართველი კაცი, რომელმაც ლხინიცა და ჭირიც, მეგობრობაცა და სიყვარულიც მთელი გულით, მთელი გრძნობით იცის“. როსტოვის საოლქო გაზეთის რედაქტორი ნ. ი. სემენიუტა გვაცნობს სამაგალითო ქართველი ქალიშვილის — ალექსანდრა ნაზაძის საგმირო საქმეებს. ის გმირულად დაიცემულა როსტოვის მახლობლად. წიგნში ლაპარაკია მიხეილ შოლოხოვის საოცარ მეგობრობაზე ქართველ მოღვაწეებთან, მის მოგზაურობაზე ჩვენს რესპუბლიკაში, სტუმრობაზე ნატანებელ კოლმეურნეებთან, მეგობრობაზე „სოფლის ცხოვრების“ რედაქციასთან.

წიგნში ასევე კიდევ ბევრი სხვა ფაქტია მოხმობილი. რუსი მოღვაწეებისა და ჟურნალისტების გულითადი სიტყვები ქართველ ხალხზე, მის მამაც შვილებზე, ქართული მწერლობის კორფეებზე, მხედართმთავრებზე მეგობრობის ნამდვილი საგალობელია. „თანამოკალმეების ეს გულწრფელი მოგონებანი თუ ნაამბობნაზრევი აქ შეულომაზებლად მოვიტანე, ვითარცა მეგობრობის ნერგი ძლიერი“, — წერს ავტორი. ჭეშმარიტად ასე!

ალექსანდრა დლონტი

მელაპარაკე

ძინავთ სოფლებს და ძინავთ ქალაქებს,
ამ სიჩუმეში ჩვენ გვღვიძავს მხოლოდ.
მელაპარაკე, მელაპარაკე,
რომ ამ მუსიკას არ ჰქონდეს ბოლო.

ძინავთ ველებს და მინდვრებს ნამიანს,
ძინავთ ტყეებს და კლდეებს, ქარაფებს.
მელაპარაკე, სანამ ღამეა,
სანამ სხვებს ძინავთ, მელაპარაკე.

ამ ქვეყანაზე რამ გამოლია
ან საწუხარი, ან საესავი.
მელაპარაკე, სანამ ორნი ვართ,
მოთხარი, სანამ მოვა მესამე.

ჩვენ დრო ვიხელთეთ, მთელი სამყარო
ჩავაძინეთ და თვითვე განვაგებთ
ჩვენს ბედს და იღბალს,
სანამ გვნახავდნენ
და მოგვძებნიდნენ,
მელაპარაკე...


* * *

ფილმ „ფრენსისის“ ნახვის შემდეგ

მე გამოვსწორდი! წინათ ურჩი და
შეუპოვარი, მტკიცე, ძლიერი,
ახლა წყნარად ვარ, ბედს არ ვუჩივი,
მშვიდი, კეთილი და თვინიერი.

მზეს მოეწყინა და მზე წავიდა
ჯამთრით დაღლილი და გათოშილი.
რაში გჭირდება ასე წყნარი და
ასე მშვიდი და ასე მორჩილი.

სივრცეს გასძახის ქარი ბუკივით:
— შენც ეული ხარ და მეც ეული.
რაში გჭირდება ასე გულგრილი,
ასე უსახო და უფერული.



ლირიკა



მე გამოვსწორდი! ამბოხს ნაჩვევი
ახლა ლანდევით ჩუმად დავდივარ.
შენ რაში გარგო ასე დამჭერემ,
ასე ღუნემ და ასე მარტივმა.

დადუმებულია წვიმა ზმიერი,
შედედებულია ლურჯი ჰაერი.
უხმო, ბეჩავი და თვინიერი
სხვა ვარ, სხვაგვარი და სხვანაირი.
მე გამოვსწორდი!..

* * *

სიძულვილიც სიყვარულის გაზრდილია?
მისი მოშურნე და მტერი!
სიძულვილი, რა თქმა უნდა, ადვილია,
სიყვარული არის ძნელი.

ღალატიც ერთგულების გაზრდილია
სიმწრით, ეჭვებით და თმენით?
ღალატი, რა თქმა უნდა, ადვილია,
ერთგულება არის ძნელი.

სიკვდილიც სიცოცხლის გაზრდილია,
ღარიბულ ღუკმით და ცრემლით?
სიკვდილი, რა თქმა უნდა, ადვილია,
ნამდვილი სიცოცხლეა ძნელი...

* * *

რაც თავი მახსოვს,
საკუთარ თავს ვებრძვი ოდითგან,
რაც თავი მახსოვს,
საკუთარ თავს ვეთვალთმეპყები.
ჩემი სახლიდან შეუმჩნევლად
ვინ გამოვიდა?
ჩემივე თავი ჩამისაფრდა, აღბათ, გამცემი.

ჩემივე თავი დამასმენს და
გამყიდის ვერცხლად,

ის ანგრევს ზოლმე,
რასაც მე ვაგებ.
ის მაყურადებს, მჭორავს და მებრძვის.
ეჰ, სადაც უნდა გამკიცხოს, მაქებს.

ამ განგებისგან ვერ შევძელი
თავი დავიცვა.
რაც თავი მახსოვს,
სულ თავს ვიცავ ჩემივე თავისგან.

სოფლის გზაზე

...სოფლის გზაზე სულ უცნობი უცნობი,
მთლად უცნობი უცნობს
გამარჯვებას ეტყვის...
აჰ, ქალაქში, გამახსენდა ეს ამბავი უცებ,
ქუჩებში რომ დავდიოდი
მარტოდმარტო, კენტი.

* * *

გასრულდა კიდევ ერთი ზღაპარი,
სხვა ზღაპრებივით ისიც გასრულდა.
რაიც მსურდა და რაიც არ მსურდა
სამარადუაზოდ დარჩა წარსულთან.

აწ მოწყენილი დღე გათენდება,
რადგან მოვიდა, ვისაც ველოდი.
ცის კარით რუხი დილა შემოდის,
ძლივს მოღწეული საქართველომდის.

მორჩა, აღსრულდა,
მკაცრი იერიით
გაცხადდა უკვე, რაიც მენება.
ის —
ბუნდოვანი და მშვენიერი,
ის —
მოლოდინის ბედნიერება.

ლაგოდენის
ნაპრძალში






უკვე 70
გადასული

დავით გაბაშვილი.

მოტილავა.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჰიდ 70 გასუქი

გავანადგურებთ.

პარკ-მუზეუმი.


დაჭარბით ქვეწარმავალს!


პარკ-მუზეუმი.

მესამე იმპერიის აპოტეოზი.

გამარჯვება.







ჩვენი ხალხის გეგმვა

● ოლექსა ნოვიცკის, ცნობილ უკრაინელ პოეტსა და ქართული მწერლობის გულწრფელ მეგობარს, ამ ათიოდე წლის წინ გავეცანი. მაშინ ჩემი მოთხოვნის მისეული თარგმანი დაიბეჭდა ქურონალ „უკრაინაში“. მისი სახელი ჩემთვის მანამდე კარგად იყო ცნობილი, მაგრამ სულ სხვაა, როცა შემოქმედებასთან ერთად, პოეტის პიროვნებასაც ეცნობი.

ოლექსა ნოვიცკი არის ხალასი, როგორც შემოქმედი და, როგორც მეგობარი. მასთან საუბრისას, ან მისი ბარათების კითხვისას, ნათლად ხედავ და გრძნობ, რომ მას უყვარს საქართველო. ჩვენი ხალხი, ქართული პოეზია, ქართული კულტურა.

...და აი, ახლა, როცა ოლექსა ნოვიცკის დაბადებიდან შვიდი ათეული წელი გაიდა, უკრაინის თვალწარმტაც დედაქალაქში — კიევი ყოფნით ვისარგებლო და შინ გისტუმრე.

მოხვდებით თუ არა მის ბინაში, მყისვე იგრძნობთ, რომ შეხვდით ადამიანს, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში მთელი გატაცებით უმოღვაწია იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეეტანა ქართულ-უკრაინული მწერლობის, მეგობრობისა და ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

აქ, ოლექსა ნოვიცკის სახლში, თითქმისდა ერთმანეთზე გადახლართულა გზები და ბილიკები, რომლითაც ადრე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტს, გულანთებული სოფლია ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში.

მასპინძელს კარადიდან გამოაქვს ორი წიგნი — ქართული

პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული, რომელიც მიკოლა ბაჟანთან და სიმონ ჩიქოვანთან ერთად რუდუნებითა და სიყვარულით შეუდგენია.

ამ ორტომეულით მოძმე უკრაინელ ხალხს შესაძლებლობა მიეცა, გაცნობოდა ქართულ პოეზიას XII საუკუნიდან დღემდე.

ოლექსა ნოვიცკიმ შეადგინა აგრეთვე, ქართველი ახალგაზრდა პოეტების საუკეთესო ქმნილებათა კრებული, რომელიც გამოსცა უკრაინის გამომცემლობა „მოლოდინა“.

მანვე უკრაინელ მკითხველებს მშობლიურ ენაზე წააკითხა დიდი სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოემები და ლექსები.

ძნელია, ჩამოთვალო ქართული პოეტების ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ოლექსა ნოვიცკის მიერაა ნათარგმნი და გამოაქვეყნებული უკრაინულ ქურონალ-გაზეთებში. მაგრამ აქ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ თითქმის ყველა ქართველი პოეტის ლექსი, რომელიც მიეძღვნა ლესია უკრაინას, თარგმნილია მის მიერ და გამოცემულია ცალკე წიგნად, რომლისთვისაც უწოდებია „ლესიასადმი მიძღვნილ ქართული თაიგული“.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მან უკრაინელ მკითხველებს გააცნო ჩვენი შესანიშნავი პოეტების — შოთა ნიშნიანის, რევაზ მარგინის, ჯანსუღ ჩარკიანის ლექსები.

მრავალი ქართველი პოეტის წიგნია ოლექსა ნოვიცკის ბიბლიოთეკაში. მათ ამშვენებს

უკრაინელი მეგობრისადმი სიყვარულისა და მეგობრული გრძნობის გამომხატველი ავტოგრაფები.

— ეს ჩემთვის მეტად ძვირფასი განძეულია, — მეუბნება იგი და მაწვდის გალაკტიონ ტაბიძის წიგნს ავტორისეული წარწერით. — თანამედროვეობის დიდი პოეტის მიერ არის მოძღვნილი და განსაკუთრებული სისათუთით გინახავ.

ასევე ვნახე ოლექსა ნოვიცკის ბიბლიოთეკაში გიორგი ლეონიძის ლექსების კრებული ავტორის წარწერით.

ოლექსა ნოვიცკის ბიბლიოთეკაში ინახება უნიკალური ფოტოების ალბომი. იქიდან იღებს ერთ სურათს და მაჩვენებს: საქართველოს მწერალთა ერთ-ერთ ყრილობაზე ოლექსა ნოვიცკი გალაკტიონს გადასცემს მისი ლექსის — „ყველას რაიმე აქვს სახსოვარის“ მიხედვით უკრაინაში შექმნილი სიმღერის ნოტებს.

— მე გამოვაქვეყნე ამ ლექსის თარგმანი, — მეუბნება იგი. — ეს ლექსი ძალზე მოსწონებია ჩვენს კომპოზიტორს ანდრეი ლაზარენკოს. მე არ შემიძლია, ამ ბრწყინვალე ლექსზე სიმღერა არ შეგქმნაო, უთქვამს, და მალე სიტყვა საქმედ უქცევია...

ამჯერად ოლექსა ნოვიცკი მუშაობს გრიგორ აბაშიძის „XII საუკუნის ქრონიკის“ თარგმანზე. თარგმნის აგრეთვე სხვა ქართველი პოეტების ნაწარმოებებს. ამას წინათ გამოცა ირაკლი აბაშიძის და კარლო კალაძის ლექსების მისეული თარგმანი.

ჩვენ წავიკითხეთ უკრაინულ პრესაში გამოაქვეყნებული მისი „წერილი ირაკლი აბაშიძეს“, სადაც დიდი სიბოძით და სიყვარულითაა საუბარი პოეტ-აკადემიკოსის მიერ განვლილ გზაზე, მის შემოქმედებაზე.



ოლექსა ნოვიცკი

ოლექსა ნოვიცკიმ გამოაქვეყნა აგრეთვე ვრცელი მოგონება — „შეხვედრები ბესარიონ ჟღენტთან“.

უკრაინელმა მკითხველებმა სიყვარულით მიიღეს ხუტა ბერულავას ლექსის „დამშვიდობება კიევთან“ მისეული თარგმანი, კოლას ნადირაძისა და ალექსანდრე გომიშვილის ლექსები.

როცა ჩაუღრმავდები ოლექსა ნოვიცკის საქმიანობას, ხედავ, რომ ბევრი, ძალზე ბევრი, გაუკეთებია მას უკრაინული და ქართული ლიტერატურის ძმობისა და მეგობრობისათვის.

უფსუვრით ქართული ლიტერატურისა და კულტურის გულწრფელ მეგობარსა და მოამაგის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკს, ცნობილ უკრაინელ პოეტსა და მთარგმნელს — ოლექსა ნოვიცკის ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე.

ბენო კონჯარია.

კულტურის ქარნივა

გამოფენა

მიქაელა

დიდ რუს

მწერალს

ანტონ ჩეხოვს

დიდი რუსი მწერლის ანტონ ჩეხოვის დაბადების 125 წლის თავს მიეძღვნა გამოფენა კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

სტენდებზე წარმოდგენილია მასალები, ფოტოსურათები, წიგნები, ილუსტრაციები, დიამგრამები, რომლებიც ვრცლად და შინაარსიანად მოგვითხრობენ მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

გამოფენა თხუთმეტი განყოფილებისგან შედგება. „ა. პ. ჩეხოვის ბიოგრაფია“ — ამ

სათაურის ქვეშ გაერთიანდა ანტონ ჩეხოვის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების ამსახველი სურათები, მისი ოჯახის წევრების ფოტოსურათები. ერთი კუთხე ეძღვნება ა. ჩეხოვის დრამატურგიულ მოღვაწეობას. აქ უხვად არის გამოფენილი ფოტოსურათები წარმოდგენებიდან, ერთმანეთს ცვლის მწერლის გმირთა როლების შემსრულებელ მსახიობთა პორტრეტები...

დამთვალიერებელი ეცნობა ანტონ ჩეხოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს, მწერლის ფოტოსურათებს, მხატვრულ ნაწარმოებებსა და ცალკეული შრომების ძველ და ახალ გამოცემებს.

საქართველოში ა. ჩეხოვის სტუმრობის პერიოდზე საინტერესო მასალებს იძლევა განყოფილება „ა. ჩეხოვი საქართველოში“, აქვეა მწერლის მოთხრობების, კრებულებისა და ცალკეული ნაწარმოებების თარგმანები: ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, გერმანულ, პოლონურ, ბულგარულ, ინგლისურ, ესპანურ, ფინურ და პოლანდიურ ენებზე.

ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ შეადგინა მწერლის პართოტეა და სისტემატურად იძლევა ზეპირ და წერილობით ცნობებს.

ზაინაზ შიჟილაშვილი




აზოტის ასიმილაციის ლაბორატორიაში: აკადემიკოსი სერგი დურშიშიძე,
უფროსი ლაბორანტი: ნათელა გიუნაშვილი და ელენორა ჭითანავა.

ჩვენი სახე უფროსი თანამედროვენი


ფოტო ვიქტორ ჭეირონდელისა.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.





სამუშაო დღე დამთავრდა.



მამა და შვილი.

დაბადების 75 წელი შეუსრულდა სახიჭადულო მეცნიერსა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ჩვენი უურნალის დიდ მეგობარსა და მრჩეველს, მისი სარედაქციო კოლეგიის უცვლელ წევრს სერგი ღურშიშვიდს.

„დროშის“ მკითხველს ვთავაზობთ იუბილარის შრომისა და ცხოვრების ამსახველ ფოტომოთხრობას.

აკადემიკოსი სერგი ღურშიშვიძე ესაუბრება უფროს ლაბორანტებს: ქეთევან ფალავანიშვილსა და დარეჯან ურთმელაძეს.



პატარა ნანა ბაბუასთან და ბებუასთან ერთად.



1933 წლის 27 თებერვალს, საღამოს 9 საათსა და 15 წუთზე გერმანიის რაიხსტაგის შენობაში ხანძარი იფეთქა. ცოტა ხნის შემდეგ ბერლინის რაიდიომ გადსცა ცნობა, რომ დაპატიმრებულია ცეცხლის წამკიდებელი — პოლანდიელი კომუნისტი ჯან-დერლუბე.

ცეცხლის გაჩენისთანავე რაიხსტაგში გაჩნდნენ რაიხსკანცლერი ადოლფ ჰიტლერი, ვიკე-კანცლერი ფონ-პაპენი და გიბელსი, რომელთაც ახლდათ ლონდონის გაზეთი „დელი ექსპრესის“ ბერლინელი კორესპონდენტი სტეფონ დელმარი.

ჰიტლერმა ასეთი სიტყვებით მიმართა ფონ-პაპენს: „ეს ხანძარი ღვთის ხელია. ახლა გერმანიის შეგვიშლის ხელს რაიხის მუშებით მოვსპობ კომუნისტებს“, შემდეგ კი ლონდონელ ჟურნალისტს მიუბრუნდა და უთხრა: „თქვენ მოწყმე ხართ ახალი, დიდი ეპოქისა გერმანიის ისტორიაში. ეს ხანძარი მისი დასაწყისია!“

იმავე ღამეს, წინასწარ შედგენილი სიგზის მიხედვით, ფაშისტების მოიერიშეთა რაზმებმა რამდენიმე საათში დააპატიმრეს 1500-ზე მეტი ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ კომუნისტი დეპუტატები: ვალტერ შტიკერი, ერნსტ შნელერი, ფრიც ემერიხი, ოტომარ გიშეი, ვილი კასპერი, მწერლები ლუდვიგ რენი, ეგონ ერვიკი, ში, ერის ბარონი და სხვები. დაპატიმრებები გრძელდებოდა შემდეგ დღეებშიც. 3 მარტს დააპატიმრეს გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ერნსტ ტელმანი, ხოლო 9 მარტს რაიხსტაგის შენობისათვის ცეცხლის წამკიდების ბრალდებით დააკავეს ბულგარელი კომუნისტი, გერმანიაში მცხოვრები პოლიტიკური ემიგრანტები: გიორგი დიმიტროვი, ბლაგოი პოპოვი და ვასილ ტანევი.

თითქმის შვიდ თვეს ამხადებდნენ ჰიტლერის დამქმვები გიორგი დიმიტროვისა და მისი ამხანაგების სასამართლო პროცესს. ფაშისტები მიზნად ისახავდნენ, შეცდომაში შეიყვანათ საზოგადოებრივი აზრი და გაემართლებინათ კომუნისტების წინააღმდეგ მოწყობილი სისხლიანი ტერორი, რომელსაც 1933 წლის იანვარში ხელისუფლების სათავეში მოქცეული ფაშისტური პარტია ახორციელებდა. ჰიტლერელები გაზეთებით და რადიოთი ჩვეყანას აუწყებდნენ: „რაიხსტაგის ცეცხლი კომუნისტებმა წაუკიდეს! რაიხსტაგის დაწვას უნდა მოჰყოლოდა აჯანყება და სამოქალაქო ომი! კომუნისტები აპირებდნენ თქვენი ცოლების გაუპატიურებას! თქვენი

ბავშვების მოკვლას! ისინი მასობრივ მოწყალებას ამხადებდნენ.“

1933 წლის 21 სექტემბრიდან 23 დეკემბრამდე ქალაქ ლაიფციგში მიმდინარეობდა ნაციტთა მიერ ინსცენირებული ანტიკომუნისტური სასამართლო პროცესი. როგორც ცნობილია, ეს პროცესი „ბრალმდებელთა“ სრული კრახით დასრულდა. გიორგი დიმიტ-

როვმა სასამართლოზე რკინიგზის ლოგოტი ბოლომდე ახადა ფარდა ფაშისტების კაცთმძულე ბუნებას და ფაქტებით დაამტკიცა, რომ რაიხსტაგის შენობისათვის ცეცხლის წამკიდებელი თვით ჰიტლერელები იყვნენ. ფაშისტთა მმართველმა ხრთვამ ბინძური მიზნებისათვის არ დაინდო გერმანული კულტურის დიდებული არქიტექტურული ძეგ-

ლი, რომლის მშენებლობა ხუროთმოძღვარ პაულ ვალტას პროექტით დაიწყო 1894 წელს. რაიხსტაგი თითქმის 10 წელი შენდებოდა და 1933 წლის მარტს დაუჯდა გერმანელ ხალხს.

მსოფლიოს პროგრესული ძალების ზეგავლენით ფაშისტური სასამართლო იძულებული გახდა, გიორგი დიმიტროვისათვის მოეხსნა წაყენებული ბრალდებები და იგი საპყრო-


ტრისტან ჩინჩილაკაშვილი

უცხოურ ლაშქარში პროცესის ბუჩქს



ბორჯომ-პლატო. 1934 წ. ივანე ფარუაშვილი, თამარ ფილიპეს ასული მახარაძე, გიორგი დიმიტროვი, ბულგარელი სტუმარი, გიორგი რუსიშვილი (გ. დიმიტროვის მკურნალი ექიმი), მძღოლი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ასიკო ცაგარელი.

ბორჯომ-პლატო, 1934 წ. გიორგი დიმიტროვი, ექიმი გიორგი რუსიშვილი, თამარ მახარაძე, ბულგარელი სტუმარი ქალი.



ბილიდან გაათავისუფლეს.

ლაიფციგის პროცესის გმირი გიორგი დიმიტროვი 1934 წლის 27 თებერვალს სსრ კავშირში ჩამოვიდა. მას გულთბილი შეხვედრა მოუწყო საბჭოთა ხალხმა. დიმიტროვი, ექიმების რჩევით, 1934 წლის ივნისში ბორჯომში ჩავიდა სამკურნალოდ.

გიორგი დიმიტროვის მიერ საქართველოში გატარებული დღეების შესახებ ბევრი დიფერა ქართულ პრესაში. ამ წერილში ჩვენ გვინდა, დიმიტროვთან დაკავშირებულ ერთ ნაკლებად ცნობილ ფაქტზე გესაუბროთ.

გიორგი დიმიტროვი ბორჯომის სანატორიუმ „ლიკანში“ ისვენებდა. ყველას უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა ლაიფციგის პროცესის გმირი, მაგრამ მკურნალი ექიმები არავის უშვებდნენ მასთან. ორი კვირის შემდეგ ძვირფას სტუმარს ბორჯომის გარეუბნებში გასვლისა და მშრომელთა კოლექტივებთან შეხვედრის უფლება დართეს.

ერთ დღეს ბორჯომ-პლატოს დასასვენებელი სახლის გამგე ვანო ფაჩუაშვილი პარტიის რაიკომში გამოიძახეს. იგი რაიკომის პირველმა მდივანმა ვალოდია ცხორგებაშვილმა მიიღო და აცნობა, რომ დღის მეორე ნახევარში მათ დასასვენებელ სახლს გიორგი დიმიტროვი ეწვეოდა.

ბორჯომ-პლატოს დასასვენებელი სახლი ერთ-ერთი საუკეთესო ჯანმრთელობის კერა იყო მთელს რესპუბლიკაში. მისი კოლექტივი ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში. დასასვენებელი სახლის წარმატებებზე ხშირად წერდნენ გაზეთები „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, რაიონული გაზეთი „ტემპი“...

საპატიო სტუმრის მოლოდინში ფაცი-ფუცი ატყდა. ამ სამზადისში დამსვენებლებიც მონაწილეობდნენ: ყველას სურდა, რითიმე ესამოგნებინა საქართველოს საპატიო სტუმარი.

დადგა ნანატრი წუთი. დასასვენებელ სახლს მსუბუქი აკრომანქანა მოადგა. დამხვდურნი ტავით, მჭიდრად ოვაციებით შეხვდნენ გიორგი დიმიტროვს. მის თანმხლებ პირთა შორის იყვნენ დიმიტროვის მკურნალი ექიმი გიორგი რუსიშვილი და ფილიპე მახარაძის ქალიშვილი თამარი...

გაიმართა სახელდახელო მიტინგი. დამსვენებელთა მისალმების შემდეგ მოკლე და თბილი სიტყვით გამოვიდა დიმიტროვი. მან მადლობა გადაუხადა

დამსვენებლებს ასეთი შეხვედრისათვის.

მიტინგის შემდეგ ექიმმა გიორგი რუსიშვილმა სტუმარს დასასვენებელი სახლის გამგე წარუდგინა. დიმიტროვმა მორცხვობა შეამჩნია ახალგაზრდა მასპინძელს და მხარზე გადახვია ხელი. სტუმარ-მასპინძლებმა დასასვენებელი სახლის კორპუსები და მიმდებარე ტერიტორია დაათვალიერეს.

გამომშვიდობებისას გამგის მოადგილემ ასიკო (ვაგარელმა) ვანო ფაჩუაშვილს გადაუღებარაქა — სტუმარს სთხოვე, სამახსოვრო სურათი გადაიღოს ჩვენთან. იქვე გაჩნდა დასასვენებელი სახლის ფოტოგრაფი, რომელმაც ორი ჯგუფური სურათი გადაიღო.

გავიდა წლები. ვანო ფაჩუაშვილი პენსიაზე გავიდა და საზოგადოებრივ საქმეებზე კვების მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში დაიწყო მუშაობა. იმ ხანებში ჩატარდა ბულგარელი ხალხის ბელადის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის გიორგი დიმიტროვის დაბადების 100 წლისთავის იუბილე.

ვანო ფაჩუაშვილი 1982 წლის ნოემბერში, ტურისტთა ჯგუფთან ერთად, ესტუმრა ბულგარეთს და თან ჩაიტანა გიორგი დიმიტროვთან გადაღებული სურათების ასლები. ჯგუფის ხელმძღვანელის დახმარებით ვანო შეხვდა გიორგი დიმიტროვის კოლეგის წევრებს, რომლებმაც გულთბილად მიიღეს სტუმარი. იმავე საღამოს ვანო ფაჩუაშვილს გულთბილი შეხვედრა მოუწვევს ხალხმრავალ დარბაზში. ბულგარეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობამ საბჭოეთის ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმარს გიორგი დიმიტროვის სამახსოვრო მედალი და ბულგარეთის ხელების ალბომი გადასცა. მასპინძლებმა საქართველოდან ჩასული სტუმარი დიმიტროვის სახლ-მუზეუმში მიიყვანეს, გადაიღეს სამახსოვრო სურათები, მერე კი თვითმტრინავით სოფიაში გადააფრინეს და მისთვის საგანგებოდ გამოყოფილი აკრომანქანით ქალაქი დაათვალიერებინეს. ჩვენმა თანამემამულემ ყვავილებით შეამკო გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი.

ვანო ფაჩუაშვილის ბულგარეთში სტუმრობას გრძელი სტაჟია მიუძღვნეს იქაურმა გაზეთებმა. ფაჩუაშვილს დღემდე გულთბილი მიმოწერა აქვს ბულგარეთში. ქართველ მეგობარს ისინი კვლავაც სტუმრად იწვევენ.



1948 წელი. ვალაკტიონი ქალაქ ცხაკაიაში.

გზიკა მოგონება დიდ პოეტზე

1948 წელი. ოქტომბერი. ცხაკაიელები ვალაკტიონს მოვილიან.

რკინიგზის ვაგზალზე დილით ადრე ზღვა ხალხი მოვიდა. აი, ჩამოდგა მატარებელი. პოეტი რომ გამოჩნდა, ტაშმა იგრილა.

სასტუმროში მცირე შესვენების შემდეგ, სახალხო პოეტმა ყვავილები მიიტანა გიორგი ქალაღიდილის საფლავზე. ეგრისის ძველისძველი დედაქალაქი — არქეოპოლისი და სოფელი ნოქალაქივც არ დაივიწყა. კარგა ხანს დაჰყო აქ, ცინე-ქალაქის ქონგურებიან გალავნებთან.

უკან დაბრუნებისას სოფელ ძველსენაკში შეხვდა მისი გიმნაზიელი ამხანაგის ქუჩა ქავთარაძის ძმას — ბაძუ ქავთარაძეს. დაათვალიერა სენაკის სკოლა, სადაც პირველი განათლება მიუღიათ კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჯანაშიას, ვარლამ თოფურის, არნოლდ ჩიქობავას, პეტრე ქავთარაძეს და ერის სხვა გამოჩენილ ადამიანებს.

...საღამოს ქალაქის საზაფხულო თეატრში დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ლამაზად მორთულ სცენაზე დიდი პოეტი თვით საგარძელში იჯდა. ეს საღამო პოეტის ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

ზღვა ხალხის წინაშე ვალაკტიონმა დიდი მღელვარებით წაითხა თავისი სახელდახელოდ დაწერილი ლექსი „მადლობა“:

კაცს უგულობა შეაკრთობს,
როგორც დღეს უსინათლობა.
გულწრფელი ყვავილებისთვის
მადლობა, დიდი მადლობა!

მადლობა ახალგაზრდობას,
ვაჟაყვებსა და ხნოვანებს.
მე თქვენი სიხარულის გზა
მარადის აღმადგროვანებს.
დღეს ჩემი ჩანგი, თქვენი ხმა
საქართველოა მთლიანი —
იმისი წინსვლა მედგარი,
იმისი აღამიანი!
აღმშენებლობის ხანაში
ჩანგის ხმა არ გვიანდება.
ჩემი ჩანგი და თქვენი ხმა
აქ მტკიცედ ერთიანდება.
სიმართლის ნათელს დიდება,
ძირს ბნელი უსამართლობა.
კოლხეთის მზეო, მეზუნბარევ,
მადლობა, დიდი მადლობა!..

მეორე დილით ვალაკტიონს თეატრის შენობაში მოსწავლე ახალგაზრდები შეხვდნენ. ნორჩი დეკლამატორები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების კითხვაში. მღეროდნენ, ციკავდნენ. პოეტმა დიდად გაიხარა ბავშვებთან შეხვედრით და მათთან სამახსოვრო სურათი გადაიღო.

დიდი სტუმარი კურორტ მენჯასაც ეწვია, ყურადღებით დაათვალიერა აქაურობა. გულითადი საუბარი ჰქონდა მასპინძლებთან.


საღამოს რკინიგზის ვაგზალზე კვლავ ზღვა ხალხი მოვიდა. ისევ ყვავილები, ისევ სიხარულით განათებული სახეები.

ცხაკაიელებმა სიყვარულით გააცილეს თბილისის მიმავალი პოეტი. ლამაზ, კოპწია კოლხურ ქალაქში კი სამარადისოდ დარჩა ის ორი დაუვიწყარი დღე და დიდი პოეტის სტუმრობის ამბავი...

გორის შეგავლია,
გაზით „კოლხეთის“
რედაქტორის მოაღრიე.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტიანული მუსიკა



იმ ხალხის ღარი სამუშაოდან ყველაზე გვიან წავიდა. გავიდა თუ არა საფოსტო განყოფილების უკანა კარიდან, რომლითაც მხოლოდ თანამშრომლები სარგებლობდნენ, აქეთ-იქით მიმოიხედა, როცა დარწმუნდა, რომ ყველა წასულიყო და გზად აღარავინ აეღვივებოდა, ქუჩაში გაიქრა და ღამის წყვილადში მიიშალა.

ღარის მარტოობა უნდოდა. უნდოდა, მარტო ყოფილიყო. ვერსად ისეთ მყუდროებას ვერ იგრძნობდა, როგორც აქ, ქუჩაში, ღამით. ახლა, როცა მოიცალა, შეეძლო, ეფიქრა ყველაფერზე, რაც რამდენიმე საათის განმავლობაში თავში უტრიალებდა.

უფროსი კონტროლიორიც მოწინააღმდეგეებს ეკუთვნის! ეს აზრი არ ასვენებდა ღარის. იგი ამასთან დაკავშირებით თავის თავშიც ცვლილებას გრძნობდა. ჭერ კიდეც შუადღისას ჩვეულებრივი ფოსტის მოსამსახურე იყო, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის საქმეს. ახლა ყველაფერი შეიცვალა და მის წინ რაღაც ახალი სახეცხლო გზები გადიოდა. თუმცა ეს ამბავი თავისთავად ჩვეულებრივი შემთხვევა იყო.

როცა უფროსმა თავისი კაბინეტის კარიდან ღარის გასაზრა, იგი რაღაც სერიოზულმა წინასწარმეტყველებამ შეიპყრო.

— ფანჯარა ნომერი ხუთი, რამდენიმე წუთით სხვამ შეგცვალაო. ცნობის მიღება მინდა.

ღარი შევიდა თუ არა ოთახში, ეველაფერს მიხვდა. სამოქალაქო ჯანსაღი გემოვნებით გამოწყობილი ორი გესტაპოელი უფროსის საწერ მაგიდასთან იდგა. ამაში დაეჭვება არც კი იყო საჭირო. ეს მათ შუბლზე ეწერათ. სწრაფად შეამჩნია მსგავსება იმ ადამიანებთან, რომლებიც პომერანიში, სამხედრო ტყვეების ბანაკში, ათასებთან ერთად მის სულსაც თელავდნენ.

ყოფილ სამხედრო ტყვეს გააუჩულო. გესტაპო!.. ნეტა რა, რა უნდათ მისგან ამ ბატონებს? „ვინმესთან ხომ არ მიჩხუბებია?“ — ფიქრობდა ღარი და უნდოდა, მესხიერებაში აღედგინა. ძლივს გაართვა თავი ამ მღელვარებას. გესტაპოელებისათვის ცოტაც კმარა. აი ის ამხანაგი ბუღეს ქუჩიდან, იგი ხომ მუშტრის დაბეჭდვის გამო დააპატიმრეს. მხოლოდ იმიტომ, რომ მოურიდებლად თქვა: „ელვასთვის ეს განთავისუფლება მტად უცნაურია...“ კომენდატურაში წაიყვანეს ის თანამშრომელიც, რომელმაც უარი განაცხადა პარიზში მცხოვრებ გერმანელისადმი გასაგზავნ წერილზე. უბედური ქალი დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს და ბოლოს უგზოუკვლოდ დაიკარგა. და რომ ვთქვათ, ისევე ფრანგები არ აბეჭდებენ.

შემზარავი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ იგი თავს მაინც იმშვიდებდა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არაფერი არ ჩაუდენია, არაფერი წამოუროშავს. ესენი

ოფიცრები იყვნენ. მიუხედავად იმი-სა, რომ მათ სახეზე თავაზიანი ღიმილი უკრთოდათ, სათვალეების ქვეშ მაინც ბოროტი თვალები ციმციმებდნენ: ჩანდა, რომ რაღაცით უკმაყოფილონი ბრძანდებოდნენ.

ბატონი ლანდერი ახსნა-განმარტებას მოჰყვა:

— ეგ გახლავთ ღარი. ჩვენ მას მეტსახელად შევარქვით „ძლივს არა ვარ კმაყოფილი!“ იცით, ჩვენთან საფრანგეთში სამსახურში ამხანაგებს უყვართ მეტსახელის შერქმევა. ამით თითქმის მეტი სითბო შეუღვენდება. და ღარი, როდესაც ჩვენთან მუშაობდა დაიწყო, მუდამ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „ძლივს არა ვარ კმაყოფილი!“ თუმცა, ბოდიშს ვიხდი, თემას გადავუხვიე, ამგვარად, ერთხელ კიდეც გიმეორებთ, რომ ვუთხრეს სახელზე მოკითხვამდე წერილები არ მინახია. რასაკვირველია, თქვენ ვალდებულნი არა ხართ მე დამიჯეროთ, მაგრამ აი თანამშრომელი, რომელიც თვეების მანძილზე მოკითხვამდე წერილების გაცემას განაგებს. შესაძლებელია, რომელიმე წერილი ან ღია ბარათი ყურადღებიდან გაოშებარა. ან კიდეც დამავიწყდა. ამ ორივე შემთხვევიდან ეჭვი მეპარება, რომელიმე მომხდარიყო...

ღარი, კეთილშინდელი და უთხარით გერმანიის ცენზურის სამსახურის წარმომადგენლებს, ხომ არ გახსოვთ, რომელიმე კორესპონდენცია მოკითხვამდე ვუთხრეს სახელზე.

...წვიმა უნდოდა და ღარის თხელ გაბარდინის საწვინარზე გაატანა. ღარი აცახცახდა, აცახცახდა სიცივისაგან კი არა, არამედ იმ ხიტყვის გახსენებით, ოფიცრებთან რომ წარმოთქვამდა:

„მე ვფიქრობ, რომ ამ სახელზე წერილები არ ყოფილა“. მან იცრუა. იცრუა და არც კი გაწითლებულა ერთის წუთით — თვალი არ მოუშორებდა ლანდერისათვის. ლანდერი იღიმებოდა. ეს ღიმილი მამობრივი, გამამხნევებელი და საზრიანი ღიმილი იყო. თითქმის ეუბნებოდა: „ჩინებულა ღარი! ჩვენც შენთან ვართ“.

გასაგები იყო „უფროსის“ ტყუილიც, ვუთხრეს სახელზე წერილები არასოდეს არ მინახავსო. მათ მისაღებად მოდიოდა ნერვული და მეტად თავაზიანი კაცი, რომელსაც საბუთები სრულ წესრიგში ჰქონდა. ნუთუ ლანდერს შეეძლო, ამ წერილების არსებობა დავიწყებინა, რომელიც ყოველდღე წერილებს სინჯავდა. მოხუცი გულგრილად ელაპარაკებოდა გესტაპოელებს. ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა...

გერმანელების წასვლის შემდეგ კონტროლიორმა ღარის თვალებში შეხედა და უთხრა:

— მაპატიეთ, ჩემო ძვირფასო! სხვაგვარად არ შემიძლო მოვტყუე-ლიყავი, ისე არ დამიჯერებდნენ და ამიტომ თქვენ მოგმართეთ. არ მინდოდა, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინეთ, მით უმეტეს, რომ ყოფილი სამხედრო ტყვე ხართ. საერთოდ მე თქვენ ძალიან გაფასებთ და არ მინდა, რომ რაიმე უსიამოვნება შეგემთხვეთ. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ვუთხრე უთუოდ, „წინააღმდეგობის“ ერთ-ერთი წევრია და მის კვალს დასდევნ. იგი ისეთივე ფრანგია, როგორც მე და თქვენ. ხომ არ მიზარდებით?

ღარიმ არ უპასუხა. მან ხელი გაუწოდა და კონტროლიორმა მაგრად ჩამოართვა. ღარი მიხვდა, რომ უფროსს კიდეც რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მან თავი შეიკავა. ნუთუ უფროსს იმის თქმა უნდოდა, რომ იგიც იმ უზარმაზარი საიდუმლო ორგანიზაციის წევრია, რომლის სახელიც ყველას პირზე აკერია?

ღარი მძიმე მანიჭებით ზომავეს ქუჩებს და გონების ენით მათ უზიარებს თავის ამაღლებებელ აზრებს. სიცივე არ აკრთობდა. მთელი მისი არსებობა უჩვეულო სიამაყით იყო აღვსილი. რატომ დაუძახა უფროსმა დასახმარებლად? ხომ იცოდა, როგორ საფრთხეში აგდებდა მას? შეიძლება მისი სამხედრო ჯვარი მოაგონდა 1939-1940 წლებში ომში მონაწილეობისათვის რომ მიიღო. ისიც ხომ უფნებლად არ გამოხულა ვერდენთან ბრძოლის ქარ-ცეცხლიდან, იმ ვეება სისხლიან სასაკლაოდან, სადაც უფროსმა თაობამ საფრანგეთის ღირსება არ დასცა და ომი მოიგო, მემკვიდრეებმა კი ომი სამარცხვინოდ წააგეს. მოხუცმა ღარი ყოყმანის გარეშე ამოიყენა გვერდით და ორივემ ერთხმად უპასუხეს გესტაპოელებს: „არა, ჩვენ იმ ვუთხრეს შესახებ, რომელსაც თქვენ ეძებთ, არაფერი არ ვიცით...“

რატომ გახცეს ასეთი პასუხი? მხოლოდ იმიტომ, რომ ვუთხრე ჭეშმარიტი ფრანგი იყო და ეკუთვნოდა „წინააღმდეგობის“ ორგანიზაციას. არამზადას, რომელმაც ბუღეს ქუჩიდან ამხანაგი დააბეჭდა, ან იმ მეორეს, რომელმაც ფოსტის მოხელე გახცა, არ შეეძლოთ ცარიელი ხელებით ებრძოლათ გამარჯვებისათვის, ყოველგვარი იმედის გარეშე. არა, ისინი ღენის ნაქერს ვერასოდეს ვერ დამისახურებდნენ, რომელიც ღარის პიჯაკს აშვენებს.

„ჰო, მე თვითონ გმირობიდან შორს ვარ, მე მხოლოდ ბრძანებებს ვასრულებდი. საამაყო როდია ტყვედ ჩავარდნა. შეიძლება ეს არც მომხდარიყო, რომ მეთაურებს რიგ-განი ყურადღება მეთქციათ. ახლა კი ეკლავ მავთულს იქეთ ჩემისთანა ასიათასობით ადამიანი დგას.

არც ისინია გმირები, ადამიანები ჩვეულებრივი არიან და კარგი ამხანაგებიც. მე მათ ჩინებულად ვიცნობ. მათ შორის ისეთებიცაა, რომლებმაც სამხედრო ჯვრები დაიმსახურეს.


ეს სამხედრო ჯილდო ყოველთვის აღელვებდა ღარის. დალახვროს ეშმაკმა, მან ხომ ეს ჯილდო დამსახურებულად მოიპოვა, როდესაც მათონოს ხაზთან სირკის მიმართულებით იბრძოდა.

ღარიმ სახეზე ხელი მოიხვა. წვიმისაგან მთლად დასველებოდა. ღმერთო ჩემო, ნამდვილი შხაპა! ასე სურდოც შეიძლება შეგხედეს. სურდოზე ფიქრმა ღარი გააცინა. ჰმ, სურდო არა, თორმეტი ტყუილი არ გინდა ტანში? ღარიმ იფიქრა, რომ ეს წვიმის წვეთები კი არა, დიდრონი, ჩუმი და ცივი ცრემლები იყო მისი დატყვევებული ქალაქისა, მისი პარიზისა, სადაც ახლა ყოველ ადამიანს ყოველ წუთს შეეძლო, ტრაგიკულად დაესრულებინა თავისი ამქვეყნიური ყოფა და მიწა სისხლის ტბად გადაქცეულიყო.

ფიქრებმა ღარი უფრო შეაკრთო. „ჰო, ახლა ისინი ყოველ ნაბიჯზე მითვალთვალენ“. „ოთხი თვალი უნდა გამოვიხსნა. საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება“. თავზარდამცემ ფიქრებში ღარიმ ნაბიჯს აუჩქარა. იგი უკვე იცნობდა „მოწინააღმდეგეთა“ ერთ-ერთ მონაწილეს, რაც მეტად საყურადღებოა. იქნებ საიდუმლო ორგანიზაციის წევრიც გავხდე? მერე რა, მეც ხომ დავმისახურე, თუმცა ყოველგვარი გმირობისაგან შორს ვარ. მეც ხომ ჩვეულებრივი ფრანგი ვარ, ერთ-ერთი იმ მრავალტყვეთაგანი, რომლებიც მომწყვდევულნი არიან უზარმაზარ გალიაში...

მოულოდნელად ღარი შეჩერდა, თითქმის წაიბრძოკა და ფეხი იტკინაო. ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა იმ წუთის შემდეგ, რაც ჰიტლერელები მოატყუა. მან ხელმო-ორეც მოიწმინდა სახეზე წვიმის წვეთები და შევებით ამოისუნთქა. არა, ღარი ვერასოდეს ვერ ითანამშრომლებს ფაშისტებთან, მას ვერავითარი ძალა ვერ გახდის მოღალატედ, ის მუდამუჟამს დარჩება ნამდვილ ფრანგად.

ვუთხრეს გამჟღავნება მის მიერ ფაშისტებთან „თანამშრომლის“ გამოვლენება იქნებოდა. ეს შეიძლება მოხდეს შენდაუწებურად, როდესაც გულში არაფერი გაქვს. მაგრამ ამ გესტაპოელებში, ამ „გამარჯვებულ კეთილშინდელში“ როგორ შეცდებოდა. პომერანიში ერთ-ერთმა ფერმერმა, იგი მწკრივში დგომისას გამოარჩია ფიზიკური მონაცემების, მაგარი კუნთების, განიერი მხრების და პირმრგვალი, მხიარული სახის გამო. ასე ხომ ბაზრობაზე პირუტყვს



არჩევენ ხოლმე.

შემდეგ ისინი ფერმისაკენ გაემართნენ. ფერმაში მისვლისას ფერმერმა ფიურერის პორტრეტის წინ ჰიკა კონიკით აავსო და ახალ მოჭამაგერეს ცხვირთან მიუტანა, აუნოხვინა და უთხრა: „ხედავ კონიკა!“ — და თვითონვე გამოსცალა. „ის პირუტყვი, ისა“ — ლარი იგონებდა ამ სცენას. კონიკი საფრანგეთიდან იყო ჩამოტანილი. ფიურერის თავყვანისმცემელს, უბრალოდ, სამხედრო ტყვეს გაღწიანება უნდოდა... მეორე დღეს კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ლარის კი ტალახში უნდა ევლო ბანაკიდან ფერმამდე. მუხლამდე წყალში მოაბიჯებდა. ფერმერმა ლარი შეათვალიერა, კარადასთან მიიყვანა, ერთი წყვილი ძველი რეზინის ჩექმები გამოიღო და გაწმენდა უბრძანა. ლარი გაიფიქრა: ფერმერი ჯერ მთლად არ გამხეცებულა, ჩემდამი სიბრალული კიდევ შერჩენია და უნდა მათხოვოსო. როცა ჩექმები წესრიგში მოიყვანა, ფერმერმა ისინი ისევ კარადაში შეინახა და შეურაცხყოფილი სიცილით კარადა გასაღებით ჩაკეტა. ამ ამბის მოგონებაზე ლარი მუშტებს კუმშავდა... ერთხელ ფერმერმა ლხინზე ნათესავები და მეზობლები მოიწვია. გამარჯვებულთა სუფრა იშლებოდა. ლხინს უამრავი სტუმარი ესწრებოდა. — სადღესასწაულო საკმელები მზადდებოდა — შამფურზე ბატი იწვებოდა.

ლარი ამ დროს საჯინბოში მუშაობდა და ისიც სუფრასთან მიიწვიეს. უფროსი ხითხითით ისმენდა სტუმრების ქებას და თანაც მისი ცბიერი თვალეზი დაპარაკობდნენ „მადროვით, მე თქვენთვის მოულოდნელი ამბავი მაქვს და კმაყოფილებიც დამარჩებით“.

სიურპრიზი ასეთი იყო: იმ დროს, როცა დამშეულ ტყვეს პირი ბატის ხორციტ ჰქონდა გატენილი, ფერმერმა დაუძახა: „ლარი, საჯინბოში წამომეყვი“. ხორციტ პირგამოტენილი ლარი იძულებული იყო, გაჰყოლოდა, რათა ორკაპით ნაკელი გადაებრუნებინა. სასიამოვნო ხუმრობაა, არა? ფერმერს უნდოდა, რომ სტუმრებისათვის დემონსტრაციულად ეჩვენებინა, თუ სადამდე შეიძლება ადამიანის დამცირება. სტუმრები ფანჯრებიდან მისჩერებოდნენ ეზოში მომუშავე ლარის.

თვეების განმავლობაში იმდენი ზოზლი დაგროვდა, რომ ლარის მეტის ატანა აღარ შეეძლო. ერთ დღეს იგი საბძელში მუშაობდა. უცებ აზრად მოუვიდა იმ რკინის ორკაპით

ბოლო მოვლ ფერმერისათვის, როგორც კი ის კარს შემოაღებდა. ფერმერმა ლარის განზრახვა იგრძნო და თავი მოარიდა. მთელი დღის განმავლობაში ლარი და ფერმერი ერთმანეთს გაურბოდნენ. ლარი ჰაერში სიკვდილის ქროლვას გრძნობდა. იმ დროს, როცა ბანაკში უნდა დაბრუნებულიყვნენ, უფროსმა მიაძახა: „ლარი, შენ ხვალ ფერმაში აღარ მოხვალ!“ იმ საღამოსვე ფერმერი ბანაკის კომუნდატურაში გამოცხადდა და მოითხოვა, რომ ფერმაში სხვა სამხედრო ტყვე გაეშვათ, რადგან მისი სიტყვებით, ლარი „მეტისმეტად ზარმაცი“ გამოდგა... ლარის ოთახის კარები შედგა და თავისთვის ჩაიცნა: ფერმერის შეშინებული სახე მოაგონდა, ლარის ამ გახსენებით, რაღაც მორალური კმაყოფილება იგრძნო, ფერმერს ნამდვილად შეეშინდა: საერთოდ ისინი არც ისე ძლიერები არიან, როგორც ჰგონიათ, — ფიქრობდა ლარი და თან დასაძინებლად ემზადებოდა. საქმარისა, ხელთ იარაღი გქონდეს და აღაშს მაშინვე ძირს დასრინა.

რამდენიმე დღემ ისე გაიარა, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. კვირა დღით, სადილის შემდეგ, ფანჯარა №1-ის მოხელემ გამოწახა დრო, საზამთრო ველოდროშზე მარუშას დასწრებოდა. მას ყურადღებიდან არ გამოჩენია, რომ წერილები მოკითხვამდე ვუაიეს სახელზე აღარ შემოდიოდა. „წინააღმდეგობის“ წევრები კარგად იყვნენ ორგანიზებული. როგორც ჩანს, მთავარმა კონტროლიორმა ატება განგაში.

ლარი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ უფროსი აღარ ესაუბრებოდა არალეგალურ ორგანიზაციას.

ერთ შაბათს, დღით, ის იყო თანამშრომლები სამუშაოს უნდა შედგომოდნენ, მთავარი კონტროლიორი ლანდერი მორიგ კორესპონდენციებს კითხულობდა.

უცებ მან ლარის დაუძახა: — ბატონო ლარი!

ლარი უფროსისაკენ გაეშურა. რაც შეიძლებოდა თავს იჭერდა, არ უნდოდა, ღელვა დატყობოდა, მაგრამ გული უფანცვალედ და თვალს ვერ აშორებდა მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებს. ამ ქაღალდებს კომუნდატურის ნაცნობი ბეკელი ჰქონდა დახმული — ფრთებგაშლილი არწივი. ლანდერმა ლარის ქაღალდი გაუწოდა და თან დაურთო:

— კეთილ ინებეთ, წაიკითხეთ და მხედველობაში მიიღეთ!

ეს იყო საოკუპაციო ხელისუფლების ჩვეულებრივი განკარგულება.

ფოსტის მოხელეები ვალდებული იყვნენ, წარედგინათ ყველა წერილი, რომელსაც კი მიიღებდნენ, ვინმე კოლა შელიუს სახელზე.

ბრძანება მოკლე და ზუსტი იყო. ლარის თავი ჩაღუნა. თავში, როგორც ბუზი, ისე უზუზუნებდა საშინელი სიტყვა „თანამშრომლობა“.

უფროსმა წერა დაიწყო, ვითომდა მღელვარებას ვერც კი ამჩნევდა ლარის. ეს მეტად პატიოსანი ადამიანი აძლევდა მოქმედების სრულ თავისუფლებას. ნეტა, ხაფანგი ხომ არ არის მისთვის დაგებული, ბრძანება პირადად მის სახელზე ხომ არ იყო. ლარის არ შეიმჩნია დინტერესება და ამხანაგებს ბრძანებაზე აზრი ჰქონდა. მათ დაუდასტურეს, რომ იგი ნამდვილად საერთო ხასიათს ატარებდა და პარიზის ყველა საფოსტო განყოფილებებს ეკუთვნოდა. ამრიგად, შესაძლებელი იყო საქმე შელიუსთან ჰქონოდა.

შედიო! შედიო! ლარის იგი ჩინებულ ადამიანად წარმოედგინა. რასაკვირველია, ესეც „წინააღმდეგობის“ წევრია. ერთი იმათგანი, რომლებსაც გაზეთები ტერორისტებად ნათლავდნენ და თავს ახვევდნენ მთელ რიგ სისხლიან დანაშაულებებს. უმჯობესი არ იყო ახლა შელიუსათვის, რომ ეს ფოსტები არ არსებობდნენ. ეშმაკმა კი წაიღოს... სულ ერთია, ლარი მას არ გათქვამს.

და, აი, შელიუს სახელზე დაწერილი წერილი უეცრად ხელში მოხვდა ლარის! თვალეზი სისხლი მოაწვა, მაგრამ არ დაიხანა. წერილი სხვა უტარაში ჩააგდო. თავის უტარაში რომ მოეთავსებინა, ლანდერი ნამდვილად განადგურებდა მას გადასინჯვის დროს. პასუხსაც აგებინებდა ლარის და თვითონაც პასუხს აგებდა. ლანდერი ახალგაზრდა არ არის, მას ცოლი და სამი შვილი ჰყავს, იგი „წინააღმდეგობის“ წევრია, ქვეყნისთვის გამოსადეგი კაცია, გარდა ამისა ამ ამბებში არაფერ შუაში არ არის. ამ ფარულ ბრძოლაში, ლარისა და გესტაპოელების შორის, სხვამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ლარის ეს უიღბლო წერილი ისეთ ყუთში ჩაღო, სადაც აღრესატის არ გამოცხადების შემთხვევაში გადადებული წერილები ინახებოდა. აქ, მტკრიან ყუთში, აზრად არ მოუვით მოძებნონ. საჭირო იყო გაჩუმება და ლოინი. იგი მტკიცედ ელოდა ყუთის სამი დღის განმავლობაში. სამუშაოს დამთავრების შემდეგ სინჯავდა ადგილზე იყო თუ არა წერილი. ყველაფერი რიგზე გახლდათ.

ბოლოს ამ წერილს მიაკითხა ერთმა მამაკაცმა: უცნობი მივიდა ფანჯარასთან და უხიტყვოდ გაუწოდა პირადობის მოწმობა ფოტოსურათითა და ყველა იმ ნიშნით, რითაც საერთოდ მოწმობა ივსება.

„ოღნავ ჩამოგვას ჩვენ ლუის, ბანაკში რომ მსახურობს, — გაიფიქრა ლარის, — შეიძლება ნათესავიცა?“

ლარის დამალული წერილი მოძებნა იმ კორესპონდენციებს შორის, რომლებიც გადადებული იყო „აღრესატის აღმოუჩენლობის“ გამო.

— აი თქვენი წერილი, — უთხრა

მან კოლდ შელიუს, და თვალეზი დახუკა, რადგან საქმე შეასრულა. თითქმის რაღაც ტალღამ ამოტყორცნა მიწის ზემოთ და განბანა ყველა იმ სისუსტისაგან, რამელიც ჯერ კიდევ დარჩენილიყო მის სულში, მერყევ ადამიანის სულში.

იგი იმ საღამოსვე დააპატიმრეს. დაკითხვამ დიდხანს არ გასტანა.

— იცოდით, რას ხჩადიოდით? — ჰკითხეს ლარის.

იცრუოს? კიდევ იცრუოს? არა, ახლა აღარავინ დაუჯერებს მას.

— დიახ, უპასუხა მან, — დიახ, მე ჩემი ვალი შევასრულე.

— მაგრამ თქვენ ხომ ზუსტად ბრძანება მიიღეთ გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებისაგან?

— მივიღე, მაგრამ მე ხომ ფრანგი ვარ?!

— მაშ, თანამშრომლობა?

ლარი წამოიწია, მიუხედავად იმისა, რომ ფეხები გახვევებული ჰქონდა.

ამ წუთს კიდევ მოაგონდა ფერმერი ორკაპით ხელში რომ ელოდა საბძელში...

— მე არ „თანამშრომლობ“ გერმანელებთან.

— გაიყვანეთ აქედან!

ლარი გაიყვანეს. იგი ისე სუნთქავდა, თითქმის უფრო ღრმად უნდოდა, შეესუნთქა სუფთა ჰაერი. ცოტადა დარჩენოდა იმ დრომდე, როდესაც საშუალოდ შეწყვეტდა სუნთქვას.

როცა ლარი დერეფანში მიმყვამდ, ერთ-ერთი კარი გაიღო, რომელზეც მოქმედებით ასობით იყო აღნიშნული „სალარო“. ოთახიდან ღიმილით გამოვიდა სამი მამაკაცი.

ლარის „თავისიანები“ იცნო. ორი ოფიცერი გესტაპოდან. მესამე ის იყო, რომელსაც მან წერილი გადასცა. „ესე იგი, ესეც ფაშისტია, — გაიფიქრა ლარის. — მათ ხაფანგში გაშვებ. წარმოიდგინეთ, რომ ამ ტიპსა და ჩვენს ლუის შორის მსგავსებაც კი აღმოვაჩინე! მამაკით მეგობარო!“

ლარი გაიმართა მხრებში და ხელი დაადო ძველ, ჩრჩილისაგან დაქმულ პიჯაკის საყუდლოს, თითქმის უნდოდა, მიადერებოდა სამხედრო ჯარის ზონრებს.

ახე გაიარა მან დერეფანი ორე მცველის თანხლებით. სალაროდან გამოსულებმა ლარი იცნეს და სიცილი შეწყვიტეს.

ლარის სიკვდილით დასჯის წინ უკანასკნელი სურვილი შეუსრულეს.

მან კალამი მოითხოვა და რომელიმე მათგანის პირფენება ექვსქვეშ რომ არ დაეყენებინა, კონვერტს ასეთი მისამართი დააწერა:

— „ჩემი საფოსტო განყოფილების პერსონალს“.

წერილი იყო მოკლე. ეწერა ორი სადა ფრაზა:

„ძლივს არა ვარ კმაყოფილი... სხვა დროსაც ზუსტად ასევე მოვიქცეოდი“...

ფრანგულიდან თარგმნა

თანი ფურცხვანიძე.

ინვალიდები

როცა ბრწყინდება ზეცა კამკამა
და ლურჯ აღმართზე დილა იგინის,
გამოვლენ გარეთ თრთოლვა-კანკალით,
გაუყვებიან ქუჩებს ისინიც.

თუ მგზავრი ვინმე გვერდს ვერ შეუვლის,
თვითონ უბნის ბოდიშს მრავალჯერ
და შაშხანაზე ზელშეჩვეულნი
დაეყრდნობიან ისევ ყავარჯნებს.

ნაცნობ ჩრდილებში მწვანე ჩარდახთა
ხმები რომ ესმით ვაჟთა, ასულთა,
შეჩერდებიან მათ წინ ხანდახან,
როგორც სიზმარში ნახულ წარსულთან.

აკვირდებიან მერე ერთმანეთს,
რანი იყვნენ და რანი არიან.
როგორ გაუცვდათ რკინის ბექთარი;
როცა სიკვდილმა ხელი დარიათ.

გაიხსენებენ, ვინ სად ბორავდა,
ვინ სად ჭექდა და ვინ სად გოდებდა:
ზოგმა დამარხა ხელი ვოლგასთან,
ზოგმა დამარხა ფეხი ოდერთან.

თავისი ხვედრი ყველამ იდარდა,
მაგრამ სიცოცხლე როდი დასრულდა —
შარავანდელი ადგათ წმინდანთა
დიდი რწმენისთვის მრავალტანჯულთა.

გული მთლიანად არ დაწრეტიათ,
სისხლით რომ რწყავდნენ გამარჯვების გზას
და გვესმის დღეთა მრავალწერტილად
კაკუნი მათი ყავარჯნებისა.

და გვესმის ახალ ზართა გრილიც,
დედულ-მამულის ხმა განუყრელი:
ფეხილად იყავით, ზეცას კრიალას
კვლავ ემუქრება შავი ღრუბელი!

შინგოუსვლელის ეზოში

აქ, სიჩუმეში,
ზოგჯერ ფოთლის დაცემაც ისმის,
ზოგჯერ ჩვილივით დაფანჯნობს
ბალახში ნისლი...

გაასწორებენ წაფერდებულ
ლობებს და ხარდანს,
ძველ აივანზე გაბერტყავენ
ძველებურ ფარდას.

ნოდარ გაქრამაძე

საჩხერა

აქ თბილი გრძნობა წუთით მაჩერებს,
აქ უნდა შეგყევ აღმართს ტკბილი ხმით...
ხევში მარგალიტს მოჰგავს საჩხერე,
უკვდავების ფესვს — ვიწრო ბაღიცი.

აქ „მოღინახეს“ ჩრდილი ძველ სურათს
გადაკრავს, როგორც სიცოცხლის ჩქერი.

მიდგამ-მოდგამენ ბუნრის ახლოს
ჯორკოებს, სკამებს,
მტვერს გააცლიან აკვანს,
სუფრას, ღოჭებს და ჯამებს.

ღვინით ხელახლა აავსებენ
ამომშრალ სურას
და ერთხელ კიდევ ახედავენ
კედელზე სურათს.

გაშხმარ თაბკულს გამოცვლიან
სიცოცხლის ნიშნად
და ისევ ფრთხილად ჩარაზავენ
წახვლის წინ ჭიმვარს.

მერე, სიზმრებთან რომ რჩებიან
მარტოდმარტონი,
მადლობას უბნის ყველა მათგანს
ეზოს პატრონი...

ილია გიგინეიძის ...

შემოხერგილი კლდეთა ჯაჭვებით,
ბზინავს რიონი — სარკე ბუნების
და, როგორც დედას ჩვილი ბავშვები,
გარს ეხვევიან ნაკადულები.

გაღმა-გამოღმა ლურჯი ცა ელავს,
გაღმა-გამოღმა მწვანე ველები
მოხატულია, ვით „დედაენა“,
იაიებით და ვნძელებით.

თვალს ყვავილივით ჩემი დღევ ახელს
და ნაირფერობს ჩემი ამინდიც.
ისევ მეძახის, ისევ მეძახის
ის კუთხე, სადაც ფეხი ავიდგი.

სადაც ქართული ვაზის დამრგველი
ხარობს მოსავლით დღემდე ართქმულით
და მხრებს იმაღლებს ჩემი ცაგერი,
თაიგულივით მთებში ჩადგმული.

ბონდი

რიონზე რკინის ხილია ახლა,
ველარ მიმრუდებს გზას მთა და კორდი,
მე მაინც ხშირად გავდივარ გაღმა
ხევში ჩაკარგულ ძველებურ ბონდით.

ნაბილიკარის მოძებნა მიჭირს...
ეს მოლანდებაც ფიქრს აღარ მაცლის:
დგას ერთ ნაპირზე ის ანცი ბიჭი
და მეორეზე — ჭაღარა კაცი.

ბონდი აერთებს ორივე ნაპირს,
სადაც კვლავ სუნთქავს სიცოცხლე ორი
და მოსწანს, როგორც გაბმული ძაფი
დასაწყისსა და დასასრულს შორის.

„სულიკოს“ მღერის ისევ ჩიხურა,
გიტარის სიმზე, ბულბულის ყელით.

გრილი ნიავი მოდის გაღმიდან,
ბარში სიცოცხლე მოაქვს ჩანჩქერებს...
დღესაც ეს შენი დილა გაღვივდა
სულმნათ აკაკის შუქით, საჩხერეც!

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მდებარე
გალბერშტატის მახლობლად, მდებარეობს საქადრაკო
ნოდ ცნობილი საქადრაკო სოფელი შტრეპეკი, რომლის
მკვიდრნი ცხრაას წელზე მეტია ჭადრაკს თამაშობენ.

გადმოცემის თანახმად, შტრეპეკში 1068 წელს
ტყვედ ჩავარდა სლავი თავადი გუნცელინი, რომელიც
სოფლის კომკში დაამწყვდიეს და დარაჯები მიუჩინეს.
ტყვე თავადმა პურის გულისგან ჭადრაკის ფიგურები
გამოძერწა და დარაჯებს ჭადრაკის თამაში ასწავლა.
დარაჯებმა ეს საინტერესო თამაშს თანასოფლელებს
შეასწავლეს. მალე მთელი შტრეპეკი გაიტაცა
ჭადრაკმა. ამ გატაცებას შტრეპეკელები
საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

შუა საუკუნეებში დასანიშნი ვაჟი შტრეპეკელ ქალიშვილს
ცოლად ვერ ითხოვდა მანამ, სანამ ჭადრაკის
პარტიას არ მოუგებდა სოფლის მამასახლისის.
სოფლის მამასახლისები კი კარგი მოჭადრაკეები
იყვნენ. შტრეპეკში, როგორც წესი, მამასახლისად
ყოველთვის ძლიერ მოჭადრაკეს ირჩევდნენ. წაგებული
სასიძო არა მარტო საცოლის ხელს კარგავდა,
არამედ დიდ ჯარიმასაც იხდიდა. ეს ჯარიმები
გვარიან შემოსავალს აძლევდა სოფელს.

შტრეპეკელ გოგონათა სილამაზე ბევრ ჭაბუკს
აძულებდა, გულისყური: ჩაჯდომოდა ჭადრაკს,
რათა სოფლის მამასახლისთან ორთაბრძოლაში გაეპარჯა.

შტრეპეკელ მოჭადრაკეთა სიძლიერემ მალე საყოველთაო
აღიარება მოიპოვა. სოფლის ხელისუფალნი იმ
გლეხებს, რომლებიც ჭადრაკს კარგად თამაშობდნენ,
ხშირად ათავისუფლებდნენ სხვადასხვა სამუშაოსაგან,
რათა სოფლის საპატიო სტუმრებთან მატჩისათვის
სათანადოდ მომზადებულ იყვნენ. სტუმრები კი
ხშირად ჰყავს შტრეპეკს.

სოფელში ახლა ყოველ ოჯახს აქვს რელიქვია —
ადგილობრივ ოსტატთა ხელით დამზადებული ჭადრაკის
კოხტა დაფა და მოხდენილი ფიგურების კომპლექტი.

საზეიმო დღეებში ახალგაზრდები, ძველი ჩვეულების
მიხედვით, სოფლის ცენტრში იკრიბებიან, ჭადრაკის
დაფასავით მოხატულ მოედანზე ფიგურებამდე
ლაგდებიან და ცოცხალ ჭადრაკს თამაშობენ.

შტრეპეკში უკვე საუკუნეზე მეტია, ჭადრაკის
სწავლება სკოლაში სავალდებულო საგნად ითვლება.
წლის ბოლოს, მოსწავლე ვალდებულია, გამოცდა
ჩააბაროს ჭადრაკის თეორიასა და პრაქტიკაში.

სოფელში ყოველი ლხინი თუ ოფიციალური შეხვედრა
მთავრდება ტრადიციული პიმნით — „სიმღერა
შტრეპეკელ მოჭადრაკეებზე“. სიმღერის ტექსტის
ავტორია მშენებელი ფრიდრიხ ვეგენერი —
ადგილობრივი მკვიდრი. აღსანიშნავია ისიც, რომ
სოფელში გახსნილი რესტორანი და კომფორტაბული
სასტუმრო ერთნაირ სახელს ატარებს „ჭადრაკი“.
ბავშვებს პერანგებზე ჭადრაკის დაფა აქვთ
ამოქარგული, სხვადასხვა საბუთებს კი სოფლის
ხელისუფალნი ამოწმებენ ბეჭდით, რომელიც
ჭადრაკის დაფას წააგავს.

ოფიციალური ცნობებით, სოფლის საქადრაკო
ჩემპიონატები 1823 წლიდან ტარდება. სკოლაში
ჭადრაკის ფიგურებით მოხატული ოთახის ერთ-ერთ
კედელზე ამოკვეთილია 161 სახელი და გვარი, რომლებიც
161 წლის მანძილზე გამართულ შეჯიბრებებში
გამარჯვებულებს გვამცნობს. შტრეპეკის ყოველ
ჩემპიონატში ასევე მეტი თანრიგოსანი მოხაწი-
ლეობს.

შტრეპეკში ლექციებით ხშირად გამოსულან და
ერთდროული თამაშის სეანსები ჩაუტარებიათ მსოფლიოს
გამოჩენილ მოჭადრაკეებს: ა. კარპოვს, მ. ტალს, ი. ავერბახს, ა. კოტოვს, ა. სუეტიტს,
რ. შპილმანსა და სხვებს.

გიგლა გოგაჩია



უღრუბლო ცის ჯარისკაცი

წინ, მდინარე ვისლის შენაკად სანისთან, ბეჭობებზე შეფენილი ქალაქი ქეშუვი მოჩანდა. ქალაქში ფაშისტები გამაგრებულიყვნენ.

ქეშუვი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრი იყო. აქედან — კროსნოზე, იასლოზე და სხვა ქალაქებზე გავლით, გზა სამხრეთ-დასავლეთ პოლონეთისკენ მიემართებოდა.

დიდი სამამულო ომის მესამე წაფხული იწყებოდა. შეტევებზე გადასული საბჭოთა მეომრები დასავლეთისკენ მიერეკებოდნენ მტერს.

გერმანელებმა ქეშუვი მიუწვდომელ ციხესიმაგრედ აქციეს. ქალაქის მისადგომებთან მათ უამრავ ტექნიკას მოუყარეს თავი, ააგეს საცეცხლე წერტილები, მოიმარაგეს ტყვია-წამალი.

პიტლერელმა განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ ახალ ტანკებზე — „ვეფხვებზე“, რომლებიც პირველად უნდა ჩაბმულიყვნენ ომში.

შეტევაზე გადასული საბჭოთა ნაწილების შეჩერება, განადგურება და „ვეფხვების“ სატანკო ბრიგადით მოულოდნელ კონტრშეტევაზე გადასვლა! — ასეთი იყო მტრის ტაქტიკური ჩანაფიქრი.

ქალაქთან შემორაკლული საბჭოთა არმიის ნაწილები შეტევისათვის თადარიგის დაჭერას ამთავრებდნენ.

აღმოსავლეთით, ტყისპირას გაჭრილ ტრანშეებში, უმცროსი ლეიტენანტის ოთარ ნაჭყეხიას ნაღმმტყორცნელთა ოცეული დაბანაკებულიყო.

ახოვანი, შავთვალა უმცროსი ლეიტენანტი ხის ვადანაჭერზე მიმჯდარიყო, პლანშეტი მუხლებზე ჩამოედო და ფიქრებში წასული გასცქეროდა ვისლის დაბინდულ სანაპიროს.

ოთარ ნაჭყეხიამ რამდენიმე დღის წინათ ჩავიდა ფრონტის წინა ხაზზე. ეს შეტევა მისი საბრძოლო ნათლობა იყო. ცხრამეტი წლის უმცროსი ლეიტენანტი ახლა პირველად უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში, პირველად მოესინჯა ფხა და უნარი, ცოდნა და გამბედაობა...

ქარმა იძალა,

ზეცა საავდრო ღრუბლებით ჩამოიბურა.

ჩაფიქრებული უმცროსი ლეიტენანტის გონებაში თანდათან გაცოცხლდა და თითქოს ნათლად აღსდგა გარდასულ დღეთა სურათები.

ჯერ დედა წამოიმართა მის წინ — სათნო, მუდამ კეთილი თვალებით მზირალი ვერცხო დედა. დედის გვერდით დაღუპული მამის — მეღქმისედეგ ნაჭყეხიას დაღვრემილი სახე გაკრთა. მოგონებამ ახლა უმცროსი ომის ჯუმბერი დაუყენა თვალი...

ეპ, ზღაპარივით მიილია ბათუმში გატარებული ზაფხობა. მერე სკოლა, წარჩინებით სწავლა, კომკავშირის რიგებში შესვლა...

ოთარ ნაჭყეხიამ ჩვიდმეტი წლის იყო, როცა საშუალო სკოლა დაამთავრა. დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა, დედამამუშოლო შვილებს უხმობდა.

ოთარ ნაჭყეხიამ მალე კრასნოდარის მეწარმეთა სასწავლებელში განაწესეს. აქაც მონღომებით, ჩვეული გულისყურით მივიძალა სწავლას და ერთი წლის შემდეგ უმცროსი ლეიტენანტის ჩინით მიაშურა ფრონტს.

ფიქრებიდან გამორკვეულმა ოთარმა ცას ახედა. ირგვლივ კუნაპეტი სიბნელი იდგა.

ის-ის იყო წამოდგა და შეტევის ნიშანიც მისცეს. ქეშუვის შტურმი დაიწყო.

ქალაქის წინ, ორ ბორცვს შორის, ტაფობში გასასვლელი ციკქა ყელი იყო დაცემული. ამ გასასვლელს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მტერს შეეძლო, ხელსაყრელი მომენტი შეერჩია, ტანკები დაეძრა, ციკქა ყელის გავლით ტაფობზე გამოჭრილიყო და მოულოდნელი კონტრშეტევა განეხიზარებინა.

ბორცვებშუა მოქცეულ გასასვლელზე კონტროლი ოთარ ნაჭყეხიას ოცეულს დაევა.

— არ დაუშვათ ყელის ფლანგიდან შემოტევა. გაანადგურეთ მოწინააღმდეგე, გადადით შეტევაზე და ქალაქში შეიჭვით! — ასეთი იყო ახალგაზრდა ოფიცრის პირველი საბრძოლო დავალება.

ფაშისტებმა ჯოჯოხეთური ცეცხლი დაუშინეს შეტევაზე გადასულ საბჭოთა მებრძოლებს.

პიტლერელებმა კვამლის ფარდით ისარგებლეს, დაძრეს

„ვეფხვები“ და ტაფობისკენ გამოჭრას შეეცადნენ.

ერთდროულად დაიქუხეს ტანკაწინააღმდეგო თოფებმა და ნაღმსატყორცნებმა. მეწინავე „ვეფხვი“ შეტორტმანდა, შეჩერდა და ცეცხლის ალში გაეხვია.

ვიწრო ყელში მოულოდნელად მეორე „ვეფხვი“ გამოხტა. ოსტატური მანევრით ფაშისტმა ტანკისტმა სწრაფად აუარა გვერდი ცეცხლმოკიდებულ „ვეფხვს“. ყელი გადმოჭრა და გაშლილ ტაფობზე ოცეულისკენ გამოეჭანა.

ფაშისტების ურჩხული გამანადგურებელი სროლით უახლოვდებოდა ოცეულს.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

ოცეულის მეთაური ელვის სისწრაფით წამოხტა, რამდენიმე ხელყუმბარა შეკრა, წიხარა და ტანკისკენ გაქანდა.

ხუთიოდე მეტრიღა რჩებოდა, როცა ქართველი ოფიცერი შეიმართა, გრგვინვით მომავალ „ვეფხვს“ ხელყუმბარები შეუგდო, გვერდით გადახტა და მიწას გაეკრა.

ის-ის იყო, გერმანელთა ტანკიდან ავარდნილი ბოლი ბოლქვებად აიჭრა ცაში, რომ ფეხზე წამოხმტარმა ოთარ ნაჭყეხიამ დასცქეა:

— წინ, სამშობლოსათვის!.. მეთაურის სიმამაცით აღფრთოვანებული ოცეული შეტევაზე გადავიდა.

მალე ყველა ფლანგიდან დაიწყეს შეტევა. რამდენიმე საათის შემდეგ, საბჭოთა მეომრებმა ქალაქი ქეშუვი გერმანელ ოკუპანტებისგან გაათავისუფლეს.

მამაცობისათვის ახალგაზრდა ოფიცერმა ოთარ ნაჭყეხიამ წითელი ვარსკვლავის ორდენი დაიმსახურა.

მძიმე და გრძელი იყო ომის გზა. ოთარ ნაჭყეხიამ არაერთხელ ისახელა თავი პოლონეთის მიწა-წყლის განთავისუფლებაში; იგი მონაწილეობდა უნგრეთში გამართულ ბრძოლებში, ფაშისტებს ერეკებოდა კარპატებიდან, ლუკის უღელტეხილიდან, ჩეხოსლოვაკიიდან...

თანდათან გამოიბრძმედა ქართველი ოფიცერი, მან მეტი ცოდნა, გამძლეობა და გამოცდილება შეიძინა. მებრძოლებმა მთელი გულით შეიყვარეს თავიანთი მეთაური ოთარ ნაჭყეხიამ. ენდობოდნენ, სწამდათ, ალტაცებაში მოდიოდნენ მისი გამჭრიახობით, გაბელუ-

ლებით, გაუტენლობით, ჯარისკაცებთან თბილი დამოკიდებულებით.

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ ლესკა-ბიალასთან გამართულ ფიცხელ ბრძოლაში ოთარ ნაჭყეხიამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რა ძალუძს ვერაგი მტრისადმი რისხვით აღვსილ საბჭოთა მეომარს.

1945 წლის თებერვალი.

საბჭოთა ჯარებმა ალყაში მოაქციეს მსხვილი სამრეწველო ქალაქი ბელსკა-ბილა.

ერთადერთი გზა, რომლითაც გერმანელებს შეეძლოთ უკანდახვევა, საბრძოლო ტექნიკის, ძვირფასი დანადგარებისა და სამრეწველო მოწყობილობის გატანა — ქალაქის დასავლეთით გამავალი გზატკეცილი იყო.

ასეულს, რომლის შემადგენლობაში ოთარ ნაჭყეხიას ნაღმმტყორცნელთა ოცეულიც შედიოდა, ბრძანება მიეცა, სოფელ იარნიცასთან გადაეკეტა გზატკეცილი.

ერთ-ერთ ბრძოლაში გმიროლად დაეცა ასეულის მეთაური უმაროვი, ოთარ ნაჭყეხიამ ასეულის მეთაურობა ითავა და მებრძოლები შეტევაზე გადაიყვანა.

ღამით დაწყებული ბრძოლა დილამდე გაგრძელდა. ოთარ ნაჭყეხიამ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია.

ბრძანება შესრულდა: გზატკეცილზე ვერცერთმა ფაშისტმა ვერ გაიჭაჭახა...

დამთავრდა ომი.

ოთარ ნაჭყეხიამ კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში განაწესეს, რამდენიმე წლის შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში ვადაიყვანეს სამუშაოდ, მერე კი საბჭოთა ჯარების სამხრეთ ჯგუფში ჩარიცხეს.

ოთარ ნაჭყეხიამ წარჩინების დიპლომით დაამთავრა ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის ორგზის ორდენოსანი სამხედრო აკადემია.

სამიოდე წლის წინ, ქართულ გენერალთა რიგებს კიდევ ერთი სახელოვანი გენერალი — ოთარ ნაჭყეხიამ შეემატა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, გენერალ-მაიორი ოთარ ნაჭყეხიამ საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ქართველ მხედართმთავართა ტრადიცია გრძელდება — უღრუბლო ცის ჯარისკაცი ოთარ ნაჭყეხიამ მთელ თავის გამოცდილებას, ძალასა და ცოდნას სამშობლოს ძლიერებას ახმარს.

რეჟისორი, ლევან დოლიძე.

ძველი საფეხბურთო საზონი

ყოველი წლის აღრიცხვას გაზაფხულზე, როცა ფეხბურთის გულშემატკივარი მოახლოებული სეზონის სურხელსა გრძნობს, იწყება ფორიაქი, სიხალისი მოლოდინითა და გაუთავებელი საჩუქრებით აღსავსე ძნელი ცხოვრება.

რა ხდება საქართველოს გუნდებში? ვინ მოიყვანეს ახალი, ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში? ეს შეკითხვები დღე-ღამეა თავს დასტრიალებს გულშემატკივარს. ამ დროს კი შავი ზღვის სანაპიროზე იწყება ვარჯიში, საწვრთნელი შეხვედრები.

მართლაც, რა სიახლეებია ჩვენს გუნდებში? ეს ტრადიციული კითხვა მუდამ გვაწუხებს და გვაინტერესებს... მომავლის მოლოდინით ატყეპულ გულს ხშირად გვაიწყობს, რომ ახალი ფეხბურთელი საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდებში თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოში“ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მკვიდრი, ჩვენს რომელიმე ქალაქში ან რაიონში აღზრდილი მოთამაშე.

ამ მხრივ ეს ჩვენი გუნდები ძირითადად განსხვავდებიან, ვთქვათ, მოსკოვის, კიევის ან სხვა დიდი საფეხბურთო ცენტრების წამყვანი კოლექტივებისაგან. გადახედვით ახალი სეზონის დაწყების წინ უმაღლესი ლიგის გუნდების საგანაცხადო სიებს და ხედავ, ერთი ცნობილი ფეხბურთელი „სპარტაკიდან“ გადასულა „დინამოში“, სხვამ, არანაკლებ ცნობილმა, პირიქით „დინამოდან“ თავი ამოჰყო „სპარტაკში“, ან ცსკა-დან „ტორპედოში“, „ზენიტში“, „ჩერნომორეცში“, „დნეპრში“, სადაც გვხვავთ.

ჩვენი საქმე სულ სხვაგვარადაა, საქართველოს გუნდებში არავის ვიწვევთ მოსკოვიდან და ხარკოვიდან, ოდესიდან და კიევიდან. ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედით, ესე იგი აქ, შინ აღზრდილი მოთამაშეების ანაბარა უნდა ვიყუთ. აქვე, ისევ და ისევ ჩვენში ვეძიოთ ისინი, ვისაც ძალუქს, ქართული ფეხბურთის მიმდევარი და საპატიო ტვირთი ზიდას.

აგერ თითქმის ორმოცდაათი წელია, რაც კი თბილისის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის დიდ სარბიელზეა. 1936 წლის შემოდგომიდან მოყოლებული სულ რამდენიმე ფეხბურთელი თუ მოგვიწვევია სათამაშოდ: უკრაინელი ილია პანინი, როსტოველი ვიქტორ ბერეჟნი, ბაქოელი ვიქტორ პანიკოვი, მოსკოველი სლავა მეტრეველი, ნალჩიკელი ალექსანდრე აფშევი... ესაა და ეს. დანარჩენები? დანარჩენებს ვეძებთ და ვპოულობთ აქვე, ჩვენს მთა-ბარში.

ასე მოვიდნენ „დინამოში“ ფოთიდან ბორის პაიჭაძე და გრიგოლ გაგუა, ქუთაისიდან — რევაზ ქიქნაშვილი და თენგიზ სულაქველიძე, სოხუმიდან — ავთანდილ ლომიძე და ნიკა მიაშვილი, ვაგრძელთ ვლადიმერ ბარქაი და გიორგი სიჭინავა, ბათუმიდან — ვახტანგ ქორიძე და ნოდარ ზიზანიშვილი, ოჩამჩირიდან — ამირან ტყეშელაშვილი და ვიტალი დარასელია. ასე მოვიდნენ ჩვენს პირველ გუნდში თელაველი გივი ჩოხელი, ბანძელი მურთაზ ხურცილავა, რუსთაველი შოთა ხინჩაგაშვილი და სხვანი (აღარას ვამბობ თბილისელებზე), სულ ნარჩევი, გამოჩენილი ოსტატები, სსრ კავშირის პირველი ნაკრების წევრები.

მაგრამ ფეხბურთის გზა ახალმოსულიდან დაწყებული გამოცდილ, გამოპირმედილ ოსტატამდე, აღიარებულ ფეხბურთელამდე, მეტად რთული და ძნელია. ამიტომ, როცა ვამბობთ, ვინ მოვიდა თბილისის „დინამოში“ ან ქუთაისის „ტორპედოში“, ნუ დავივიწყებთ, რომ ესენი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან, არსებითად, ჭაბუკები, რომლებსაც ბევრი რამ სჭირდებათ საიმისოდ, რომ ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრონ ადგილი და ასწიონ თბილისის „დინამოს“ ან ქუთაისის „ტორპედოს“ მიმდევარი ტვირთი.

ფეხბურთის მოყვარულს, გულშემატკივარს, ჩვეულებრივ, თან სდევს ხოლმე რაღაც დაუქმყოფილებლობის გრძნობა. კაცი რომ მუდამ უკეთესისაყენ მიიღტვის, ეს გასაგებია, გულშემატკივარსაც ამიტომ მხოლოდ გამარჯვება სწადია.

მე არ ვიცი, ვინ, სად და რატომ თქვა: მოგება და წაგება ძმები არიანო. ეს რა ძმებია, როცა ერთი მოგებაა, მეორე კი წაგება. მაგრამ წაგება, გინდა, არ გინდა, გარდუვალი ამბავია. გულშემატკივარიც ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს ყოველ ცალკეულ, კონკრეტულ ვითარებაში შექმნილ მდგომარეობას, გულისხმიერად და საქმის ცოდნით მიუდგეს ფეხბურთელებსაც, მწვრთნელებსაც, მათ სიძნელებს, წინ კი არ გადაეღობოს მათ, პირიქით, გვერდში ამოუდგეს, ხელი შეუწყოს, დაეხმაროს, წააქეზოს, გაამხნევოს.

შარშან, სწორედ ამ დროს, საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ, „დინამო“ ვრცელი წერილი მიუძღვნა 1984 წლის საკავშირო ჩემპიონატს, იმ წერილშიც იმედი გამოვთქვით, რომ გარ-

კვეთილი კრიზისის პერიოდში მყოფი ჩვენი გუნდები მაინც მიაღწევდნენ საწადელს, თუ კი მათ გულშემატკივართა ერთგული მხარდაჭერაც არ მოაკლდებოდა.

გამართლდა თუ არა თავისებური პროგნოზი? რა თქმა უნდა, გამართლდა! თბილისის „დინამომ“ 1983 წლის გაუგონარი ჩაგარდნის შემდეგ (მე-16 ადგილი) ერთბაშად მე-7 ადგილზე აიწია, რისთვისაც საგანგებო ჯილდო — „პროგრესის“ თასიც დაიმსახურა და მთელ რიგ მატჩებში საკმაოდ რიგიანი თამაში აჩვენა. რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“, ამ გუნდმა მეტოქეებთან უაღრესად ძნელ, მძიმე ბრძოლაში ღირსეულად მოიპოვა უფლება, კვლავ იწოდებოდეს უმაღლესი ლიგის კანონიერ მკვიდრად.

განა ეს დიდი მიღწევა არაა: ან ლანჩხუთელი და ბათუმელი ფეხბურთელების შედეგი 1984 წლის I ლიგის საკავშირო გათამაშებაში არაა წარმატება? არის, უდავოდ, არის! მაგრამ ფეხბურთის მოყვარულმა რა ქნას, მას სურვილი აქვს თბილისის „დინამო“ ისევ 1981 წლის დონეზე იხილოს, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ ერთხელ და სამუდამოდ დაემკვიდრეს უმაღლეს ლიგაში! გულშემატკივრის ამ კეთილშობილ მისწრაფებებს წინ ვერავინ დაუდგება. თუ მაყურებელი ტრიბუნაზე ზის და თავისი გუნდის საქმეაგოდ არაფერს იშურებს, ცხადია, ფეხბურთელმაც ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ საკუთარი შესაძლებლობანი სრულად გამოავლინოს. მინდორზე.

დისანანი და საწყენია, როცა ზოგიერთი მაყურებელი მხარდაჭერისა და დახმარების ნაცვალად, შეუფერებლად იქცევა ტრიბუნაზე, მაგრამ არც ის არაა მოსაწონი, რომ ფეხბურთელი თამაშის ნაცვალად წამდაუწუმ ტაბლოსკენ იცქირება და დროის გაყვანის ტაქტიკას ეყრდნობა.

1985 წლის სეზონი, სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატი უაღრესად რთული, ძალზე მძიმე იქნება. ჩვენს გუნდებს საგანგებო შემართება და თავგამოდება მართებთ შარშანდელი მონაპოვრის შესანარჩუნებლად.

ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, უკვე იციან, რომ უმაღლესი ლიგის 1985 წლის გათამაშების დებულებაში მნიშვნელოვანი ხასიათის რეფორმა მოხდა. ეს კი უკიდურესად გამწვავებს ბრძოლას უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნისათვის. შეგახსენებთ: ორი გუნდი, რომლებიც უმაღლეს ლიგაში მიმდინარე წელს ბოლო, მე-17 და მე-18 ადგილებზე დაიკავეს, 1986 წლისთვის ავტომატურად გადაინაცვლებს პირველ ლიგაში, უმაღლესი ლიგის ის ორი კოლექტივი კი, რომლებიც მე-15 და მე-16 ადგილებზე გავლენ, პირველი ლიგის ორ გამარჯვებულთან ერთად შექმნიან 4-გუნდიან ჯგუფს. ამ ჯგუფში დამატებით გათამაშება ჩატარდება ორი გამარჯვებულის გამოსავლენად. და აი, ისინი უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ 1986 წელს. ასე რომ, მომავალი წლიდან საკავშირო ჩემპიონატში 16 გუნდი დარჩება, ეს კი მეტად მკაცრი, შეიძლება ითქვას, უღმრთელი ლიბიტია.

გაიხსენეთ შარშანდელი ჩემპიონატი, რამდენ გუნდს მოუხდა ბეწვის ხიდზე გავლა (მათ შორის თვით მოსკოვის „დინამოსაც“ კი, თავი რომ შეენარჩუნებინა ჩვენს საფეხბურთო ელიტაში)? წლეულს უკვე 4 გუნდი აღმოჩნდება ამ მძიმე პრობლემის წინაშე.

საინტერესო საფეხბურთო ბრძოლები გვიძვეს წინ მიმდინარე წელს: სსრ კავშირის ჩემპიონატი, თასის გათამაშება, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები საბჭოთა კავშირის ნაკრების მონაწილეობით, თბილისში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამ ჩემპიონატში გამოდიან ინგლისის, უნგრეთის, ესპანეთის, შოტლანდიისა და სხვა ძალზე ძლიერი გუნდები. გარდა ამისა, გაიმართება პირველი და მეორე ლიგების ოსტატთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებათა მატჩები, საქართველოს ჩემპიონატი, ბავშვთა და მოზარდთა შეჯიბრებები, „ტყავის ბურთის“ კლუბის გათამაშება, მოცლა, როგორც იტყვიან, არ გვექნება!

მით უკეთესი. გულშემატკივრის მოცლა ვის გაუგია!

გიორგი კორძია

საბჭოთაო ნიბას რთავს

პარიზის ეროვნული სასტუმროს შესასვლელში ასეთი გასცხადება გამოატრეს.

„ჩვენი სასტუმრო სტუმრებს ნებას რთავს, ჩომოვში შეიყვანონ თავიანთი ძაღლები.“

ასეთი გადაწყვეტილება იმითმ მივიღეთ, რომ ძაღლები არ აგრძელებენ ჭიქებისა და ჩაის კოვზების კოლექციებს, სასტუმროდან სამახსოვროდ არ მიაქვთ ხელსახოცები და ზეურები, ისინი არც კარ-ფანჯრებზე ჩამოკიდებული ფარდებით აპრილებენ ფეხსაცმელს.

სხვათაშორის, ძაღლებს საკმაოდ სოლიდურად უჭირავთ თავი: არც ანჩხლობენ და არც სხვის საქმეში ერევანა.

სასტუმრო პანიკამ მოიცვა

მელბურნის (ავსტრალია) სასტუმრო „შერატონში“ დღისით-მზისით, ორი შეიარაღებული ნიღბოსანი შეიჭრა.

მომხდურები სასტუმროს ღირეკტორს ეცნენ, კაბინეტიდან გამოათრეს, გათოკეს, ვილაცის ნომერში შეათრეს და კარი გადარაზეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ პორტულთან მსუბუქი ავტომანქანა მოგრიალდა.

მანქანიდან ავტომატიანი ახალგაზრდები გადმოხტნენ. მათ ხმაურით აირბინეს კიბე, კარს ეცნენ და მძევლად შეპყრობილი ღირეკტორის განთავისუფლებას შეეცადნენ.

სასტუმრო პანიკამ მოიცვა.

მაღე ყველაფერი გაიკვია: თითოეული შეიარაღებული განგსტერი თურმე საიდუმლო სამსახურის აგენტი იყო. ისინი გრაფიკით გათვალისწინებულ მორიგ საწვრთნელ მეცადინეობას ატარებდნენ.

ციფრები და ფაქტები

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური მონაცემები ამერიკაში მომხდარ დანაშაულთა შესახებ.

ამ მონაცემების მიხედვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად საშუალოდ 20 ათასი მკვლელობა ხდება, თავდასხმის შედეგად ასი ათასობით ადამიანი სახიჩრდება.

1981 წელს ამერიკაში ყოველი მესამე სახლა გაქურდეს, ან შეეცადნენ მის გაქურდვას; 2.400.000 ამერიკელი ცინიდან ან თავდებით არის გამოშვებული, ან პირობითი სასჯელი აქვს დაკისრებული.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობარში აღნიშნულია, რომ ამერიკაში ჩადენილი ყოველი ათი დანაშაულიდან პოლიციის მიერ საშუალოდ მხოლოდ ორი დანაშაული იხსნება.

პირველი შემოღება

ამერიკის ქალაქ შრივპორტში (ლუიზიანის შტატი) მცხოვრებმა 22 წლის ემანუელ რობინსონმა გადაწყვიტა, მორწმუნე გამხდარიყო. მივიდა ეკლესიაში, მოინანია ცოდვები, მოინათლა და განიწმინდა.

როცა შინ დაბრუნებას აპირებდა, შესცოდა. შეიპარა მღვდლის გარდერობში. წმინდა მამოს ანაფორის ჯიბეები განჩრია. პორთფელიდან ფული აწაპნა, პალტოდან ჩეკის წიგნაკი ამოაცოცა, უჯრიდან – ფასიანი საბუთები.

განწმენდის შემდეგ ეს იყო მისი პირველი შეცოდება.

მოლას გასაჭირი

ბანგლადეშის ერთ-ერთი სოფლის მოლა ალი აზიმი 104 წლისაა.

მოლას ოთხი ცოლი ჰყავს. არ ჰქმარა, ადგა და მესუთე თანამეცხედრე მოიყვანა.

სოფელი აჯანყდა. მორწმუნე მოითხოვენ, ალი აზიმი დასაჯონ და მოლობიდან გადააყენონ. ხალხის გულისწყრომა იმით კი არ არის გამოწვეული, რომ სიძე კაცი 88 წლით უფროსია თავის 16 წლის ცოლზე, არამედ იმით – ისლამი ნებას არ იძლევა, მოლამ ოთხ ცოლზე მეტი იყოლიოს.

ლხინი ჩაიშალა

ნეაპოლის ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში ქორწილს იხდიდნენ ნეფე რაფაელ ლენზრანო და პატარძალი როზეტა ბრაიდი.

როცა ლხინი ეშხში შევიდა და სტუმრებმა სიმღერა წამოიწყეს, მეინახეებს პოლიცია დაესხა.

ყველა განჩრია. ვისაც ცეცხლმსროლელი იარაღი აღმოაჩნდა, დააპატიმრეს. ნეფე და დედოფალი გადარჩნენ.

როგორც გაირკვა, ნეფე თურმე განგსტერთა ბანდის მეთაურის ლორენცო ნუვალეტის ასლობული ნათესავი იყო.

– ლორენცო ნუვალეტიმ იტალიაში დანაშაულთა რეკორდი დაამყარა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მისი ასლობდის ქორწილში სწორედ პროფილაქტიკისათვის გეახელით, – თავაზიანად განაცხადა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

ახალი კანონი

ამერიკის შეერთებული შტატების პატარა ქალაქ ოკ-კრიკში (კოლორადოს შტატი) სამი თვე ციხე და 300 დოლარი ჯარიმა ემუქრება ყველა მცხოვრებს, ვისაც შინ არ ექნება... თოფი და ტყვიები.

ასეთი კანონი ქალაქის ხელისუფლებმა იმითმ მიიღეს, რომ ოკ-კრიკში მხოლოდ ორი პოლიციელია და მოქალაქეებმა ყოველგვარი საფრთხისაგან თვითონვე უნდა დაიცვან თავი.

ახალი კანონი არ ეხებათ ოდესმე მსჯავრდადებულ მოქალაქეებს, ხეიმრებსა და ღარიბებს, რომელთაც საშუალება არა აქვთ იარაღი შეიძინონ.

40 ათასი ტირაჟით

საფრანგეთში ყოველწლიურად 10-11 ათასი ადამიანი იკლავს თავს. ყოველწლიურად აღინუსხება თავის მოკვლის მცდელობის ათასობით შემთხვევა.

ამას წინათ საფრანგეთში თავი მოიკლა ორმა ახალგაზრდამ, რომლებიც სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდნენ და ერთმანეთს არ იცნობდნენ.

საგულისხმოა, რომ ორივე გვამის გვერდით იდო წიგნი. ეს წიგნები ერთი და იგივე დასახელებით იყო და ერთსა და იმავე გვერდზე იყო გადაშლილი.

წიგნს, რომლის ავტორები არიან ივა ლე ბონი და კლოდა გიონი, ასეთი სათაური აქვს: „თვითმკვლელობა და მისი აღსრულების ხერხები“.

აღსანიშნავია, რომ წიგნი 40.000 ტირაჟით გამოიცა.

ახალი რეკორდი

რომში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი... ჩიბუხის წვეის ხანგრძლივობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 38 კლუბის 250 წარმომადგენელი (მათ შორის 19 ქალი იყო).

დაძაბული ბრძოლა იტალიის ნაკრები გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. გუნდის წევრები ყალიონს მონაცვლეობით ეწეოდნენ 2 საათი, 46 წუთი და 5 წამი.

ნაკომნი ნივთების ბიუროში

ნივთების დაკარგვაში იაპონელმა მგზავრებმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. მარტო შარშან, მატარებლის ვაგონებში მათ ნახევარ მილიონზე მეტი ქოლგა დარჩათ. ამას უნდა დაემატოს 300 ათასი სხვადასხვა ნივთი, ტანსაცმელი, 250 ათასი წიგნი...

ყველაზე ძვირფასი დანაკარგი აღმოჩნდა ციქნა ჩემოდანი, რომელიც ოქრო-ვერცხლითა და ბრილიანტებით იყო სავსე. ეს ჩემოდანი ტოკიოს რკინიგზის ვაგზალში დარჩა შეზარხოშებულ იუვილერს. ძვირფასეულობის ფასი 3 მილიონ იენს შეადგენდა.

ყველაზე კურორტული ნაპოვნი იყო ხელოვნური ყბა და ურნა, რომელშიც მიცვალებულის ფერფლი იყო ჩაყრილი.

მამიბი გაღმით არიან...


დასავლეთ გერმანიაში განლაგებული ამერიკელთა ბაზები ადგილობრივი ხელისუფლებისაგან გარკვეულ ხარჯებს მოითხოვენ.

ბიუჯეტით გათვალისწინებულ ამ ხარჯებს ხშირად გაუთვალისწინებელი თანხაც ემატება: სამშობლოში გამგზავრების შემდეგ ბევრ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რჩება ქორწინების გარეშე შეძენილი შვილი.

„მამიკოები“, როგორც წესი, ივიწყებენ ევროპაში დატოვებულ შვილებს და აღიშენებს არ უგზავნიან. მიტოვებული მარტოხელა ქალებისათვის დახმარების გაწევაზე უარს აცხადებენ ამერიკელთა ბაზების ხელმძღვანელობაც.

გამოსავალი ისდა რჩება, აცრემლებულ დედებსა და მათ ბავშვებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაუწიონ მატერიალური დახმარება.

ასე, მაგალითად, კონტინგენტის რაიონში ერთ წელიწადში 200.000 მარკა დახმარება გასცეს, ოკეანესგაღმელმა მამებმა კი ოკეანესგაღმელმა მიტოვებულ შვილებს მხოლოდ 6 ათასი მარკა აღიშენტი გამოუგზავნეს.



შვეულად: 1. პირველი რუსული არალეგალური გაზეთი; 2. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 4. ფეთქებადი ნივთიერება; 5. ქართული ხალხური ეპოსის გმირი; 8. პაპირუსის ან პერგამენტის გრაფილი; 10. კავკასიონის მწვერვალი; 11. პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ხერხი; 12. სვედიანი ლირიკული ლექსი; 14. დარიგება, ტყუის სწავლება; 16. ძალის ერთეული; 18. ცხენოსნის წეპლა; 20. იმამის ხელისუფლება; 21. ჩოგბურთის მსგავსი თამაში; 22. სრული შესატყვისი, სრული შესაბამისი; 24. ლითონის ჩაღრმავებული ჯორმა შრიფტის ჩამოსახსნელად; 26. უმოტორო საფრენი აპარატი; 27. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი.

თარაზულად 3. მეცნიერება, რომელიც სწავლობს საზოგადოების განვითარებას; 6. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; 7. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთის არჩევა; 8. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში; 11. ზღუდე, დაბრკოლება, რომელიც უნდა გადალახონ; 13. წონის ერთეული ძველ რომში; 15. ნადირობის მფარველი ქალღმერთი; 17. აზნებულის ბოქოსაგან დამზადებული მასალა; 19. გამოჩენილი იტალიელი ასტრონომი, ფიზიკოსი და მექანიკოსი; 23. სასიამოვნო სუნი; 25. საფეხურებიდან გადმოშვებული ხელოვნური წყალვარდნილი; 28. საბჭოთა პოეზის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; 29. გრძელი და ფართო წამოსახსნი; 30. ჩხირისებრი ბაქტერია; 31. მარხილი, რომელშიც აბაჟენ ირმებს ან ძაღლებს; 32. კიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 33. ჩანასახი; 34. მაღალი ხარისხის ქაღალდისგან დამზადებული მუყაო.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ.

- ჩემი ძაღლი ლაპარაკობს.
- ვიცი, ჩემმა ძაღლმა მითხრა.
- • •
- ევა, სარკესთან თვალებს რატომ ხუჭავ?
- მაინტერესებს, ძილში როგორ გამოვიყურები.
- • •
- დღევანდელი საკონტროლო თემაა: — „დირექტორი ვარ“. ჰანს, რატომ არ იწყებ წერას?
- მდივანს ველოდები.
- • •
- მათემატიკა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ნაწილია.
- რატომ?
- იმიტომ რომ, პირველ კლასში ვაშლებით ანგარიშობენ.
- • •
- რა ჰქვია შენს პატარა დიკოს?
- არ ვიცი, ჭერ ვერ ლაპარაკობს.
- • •
- მამიკო, როცა გავიზრდები, ჩრდილოეთში წავალ. ახლავე უნდა მომამზადო.
- როგორ?
- ყოველდღე ნაყინი მიყიდე.
- • •
- ეს ბალერინები დაბლები არიან?
- არა.
- აბა, თითის წვერებზე რატომ დგანან?

გერმანულიდან თარგმნა
მარინა სულაშვილმა.

„დროშის“ № 11-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ბაიკალი; 2. ლინზა; 3. არმია; 4. მდინარე; 7. არენდა; 8. ობლიგაცია; 10. გრუზინოვი; 12. არქტიკა; 13. ესტრადა; 18. პლუდა; 19. მერკური; 21. ეტალონი; 24. თავლა; 25. ისკრა.

თარაზულად: 5. ბაზილიკა; 6. ბარიკადა; 8. იზოგრაფია; 11. ალიბი; 14. „ორერა“; 15. გრადუსი; 16. აგენტი; 17. ეროზია; 20. აკოლადი; 22. სენია; 23. კვოტა; 26. პარადოქსი; 27. ბრაზილია; 28. ვორონინი.

„დროშის“ № 1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ბუტელი; 2. ეტალონი; 4. ზოოლოგია; 5. ვედა; 6. უნიკუმი; 9. აფრია; 12. კოზარა; 13. ანანასი; 14. მაზურკა; 15. გეიზერი; 20. ილუზია; 21. ექსპრესი; 22. კუბელი; 25. ბაიკალი; 26. სტაიერი; 28. აზაი.

თარაზულად: 3. კურანტი; 7. ვოდევილი; 8. ალუმინი; 10. ალფა; 14. ოფოფონი; 16. დოლმენი; 17. გალილეი; 18. არმაზი; 19. აზარტი; 23. არაქიზი; 24. ოკლუზია; 27. ვარიეტე; 28. აკრი; 29. სტატიკა; 30. სინტაქსი; 31. კლასიკი.



კორექტორი: ცინიან სიპინაძე

მონტაჟი ნანული დანელიანი

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: საქართველოს მთასა და ბარში. ფოტოები: თარხან არჩვაძის, მალხაზ დათიკაშვილისა და ანატოლი რუხაძისა.

გადაეცა წარმოებას 18. 01. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 02. 85. უფ. 01455. ქაღალდის ზომა 70×1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამოცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 47.700. შეკვ. 168. ფასი 85 კპ.


880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-89, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





ეროვნული
ბიბლიოთეკა
052236076056

